

ნათელი ქრისტესი საქართველო

The Light of Christ Georgia

Свет Христов Грузия

წიგნი 1

რედაქტორი: როინ მეტრეველი

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი • 2003

#685

გრივერ ფარულავა

წმიდა გრიგოლ ხანძთელი

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა გამოკვეთილად მონოთემატურია - საღვთო სიყვარულს ეძღვნება მთლიანად. ხოლო იდეა ასეთი ნაწარმოებისა, მიზანი, რომლისკენაც საზეო მიჯნურობით შთაგონებული პერსონაჟი მიემართება, არის განდმრთობა, თეოზისი. გზად განწმენდა გვევლინება, ხოლო საშუალებად - ტანჯვა. განწმენდა ნიშნავს ვნებებზე გამარჯვებას, ეგოისტურ ინსტიქტთა ძლევას, რაც შინაგანი ბრძოლის, შეჭირვების, ტანჯვის გარეშე ვერ აღსრულდება. ხდება ტანჯვისა და სიკვდილის საკრალიზაცია, ამაღლებული არსებობის - ბრძოლად, ჭეშმარიტი ქრისტიანის მეზობლად, „მხედრად“ დასახვა. მოციქულის სიტყვებს, - „შენთვის მოვსწყდებით ჩვენ მარადღე“ (რომ. 8,36), - ასე განმარტავენ: ჩვენი წილნაყრობა ქრისტეს ტანჯვასთან, სიკვდილთან, ნათლისღების საიდუმლოს ძალით რომ განხორციელდება, ჩვენს ყოველდღიურ არსებობაში უნდა აქტიურდებოდეს, გაცხადდეს. ამაშია აზრი ასკეზისა, რომლის საშუალებითაც რჩეული ქრისტიანი სულით მოაკვდინებს ხორციელ საქმეებს, ქვედამზიდველ ინტერესებს. ამ ტანჯვა-მოკვდინების წარმატების კვალობაზე მიეახლებიან ბერ-მონაზვნები, ჰაგიოგრაფიულ „ცხოვრებათა“ გმირები, ქრისტეს პიროვნებაში მოკიაფე სიცოცხლეს. ამ ერთობ მაღალი მიზნის მიღწევის შესაძლებლობა მოტივირებულია მსოფლმხედველობრივად: ღვთის ხატად და მსგავსად შობილ ადამიანს ძალუმს, ცოდვის გზით დამხობილი ეს ხატი ააღორძინოს, განაბრწყინოს, ცოდვათა, ვნებათა მოკვდინების გზით; განახლება-ფერისცვალების პერსპექტივა კი განმარტებულია „ახალი ადამის“, ღვთის მხოლოდშობილი ძის მოსვლით. თვით მონაზონი ამბობს ამის თაობაზე: „იყვენ ბრძოლად შენი თავსა შინა შენსა და ყოველი ღუაწლი შენი ნებისა შენისა მიმართ, და დააყენე თავი შენი ნებათაგან და ნუ შეუდგ მას, და ნუ გნებავენ ნუკევაჲ მისი“ (აბრაჰამ მონაზონი „მამათა სწავლანი“).

წმ. მაქსიმე აღმსარებელი მიიჩნევდა, რომ ვნება არის ადამიანის ბუნებრივ უნართა არასწორი მოძრაობა. იმის ნაცვლად, რომ მიესწრაფებოდეს მიზეზთა-მიზეზს, შემოქმედს და მისით

ტკბეზოდეს, არასწორად წარმართული ვნებები ხორციელ სიამოვნებათავენ მიიზიდებიან. ამიტომ ასკეტმა უნდა შეძლოს, რომ ახალი მიმართულება მისცეს ვნებაში გაცხადებულ სულისმიერ ძალებს, ყოფიერების მიზეზისაკენ მიმართოს ისინი. გრიგოლ პალამაც, თვლიდა, რომ უვნებლობა არის არა მხოლოდ სხეულებრივ ვნებათა უბრალო მოკვდინება, არამედ მისი (სხეულის - გ.ფ.) ახალი განდმრთობილი მოქმედება.

ჯვარცმული იესოს ხატის კვალობაზე ქრისტიანული ასკეზი არის არა პათოსი თვითდამკვიდრებისა, არამედ თავისი თავის უარყოფისა, მსხვერპლად მისვლისა, სიმდაბლე-მორჩილების ასკეზი ანუ „კენოზისი“. სწორედ ის გარემოება, რომ ქრისტიანული ასკეზის არსს, პათოსს, ქმნის ქრისტეს ცხოვრებით ხოცმესხმული იდეალი საკუთარი „მეს“ ინტერესებისგან განდგომისა, კაცთა მოდგმისათვის მსხვერპლად მისვლისა, განსაზღვრავს იმას, რომ ასკეტური მოღვაწეობა ვერ ჩაიკეტება პიროვნული ცხოვრების რკალში.

ვნებებთან ბრძოლის საშუალებები და ფსიქოლოგია საგანგებოდ იყო დამუშავებული ლიტერატურაში. ხორციელ ვნებებს (გაუმაძღრობა, მრუშობა, ძილისმოყვარეობა, მცონარება-გაურჯელობა...) შესაბამის ხორციელ სათნოებებს (მარხვა, ქალწულობა, ღვიძილი, ხელსაქმე-გარჯა...) უპირისპირებდნენ; სულიერ ვნებებს (სიძულვილს, სიამაყე-ქედმაღლობას, ოქროსმოყვარეობას, მრისხანებას, შინაგან მთვლემარებას, ძვირის ხსენებას...) სულიერი სათნოებებით (სიყვარულით, სიმდაბლით, უპოვარებით, ურისხველობით, მღვიმარებით, მიმტევებლობით, ღოცვით, სინანულით, ცრემლით...) განაქარვებდნენ. მიიჩნეოდა, რომ ხორციელი სათნოებანი გვაგარჯიშებენ და გვაძზადებენ სულიერ სათნოებათა (სიქველეთა) დაუნჯება-განმტკიცებისათვის.

გამორჩეულად საშიშ ვნებებად, ყველაზე უფრო რომ დააბრკოლებს ღვთისკენ მიმავალ გზაზე შემდგარს, შერაცხილია სიამაყე-ამპარტავნება, ქედმაღლობა. ყველა სათნოება შეიძლება უშედეგო აღმოჩნდეს, თუ მათ ფუნდამენტად არ უდევს და არ აგვირგვინებს სიმდაბლის (თავმდაბლობის) სათნოება. განკაცებული ქრისტე, როგორც ამას წმინდა წერილი მოწმობს, ჯვარცმის გზით შედის დიდებაში (ლუკა 24, 26). ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, „თავდამდაბლებული-დამცირებული ქრისტე ჯვარზე ამაღლდა“. ადამიანის უბედურებას ნეტარი ავგუსტინე უკვე იმაში კი არ ხედავდა, რომ იგი (ადამიანი) დამძიმებულია მატერიით,

#686

არამედ იმაში, რომ მასში დაჩრდილულია ხატი ღვთისა და დაჩრდილულია, უპირველეს ყოვლისა, ქედმაღლობის ვნებით.

ამის შესაბამისად ჰაგიოგრაფიულ „მარტვილობათათვის“ ნიშნულ დაპირისპირებას მატერიისა და სულისა „ცხოვრებათა“ ტექსტებში შეენაცვლა ეთიკური პათოსით გამსჭვალული დაპირისპირება სიამაყისა და სიმდაბლე-მორჩილებისა.

„რომელმან დაიმდაბლოს თავი თვსი, იგი ამაღლდეს“ (მათე, 23, 12) -აი, მსოფლგანცდა, სულიერი გმირების უმთავრეს ასპარეზად რომ გვევლინება გიორგი მერჩულის „გრიგოლ

ხანძთელის ცხოვრებაში“. ასე რომ, მერჩულე ტოლ-სწორობის ნიშანს სვამს სიმდაბლესა და მონაზვნობას შორის და იტყვის: „მონაზონებაჲ ჰრქვან კრძალვასა“.

გრიგოლ ხანძთელის მერჩულისეულ დახასიათებაში თავიდანვე სწორედ თავმდაბლობა-მორჩელობის შტრიხები წარმოჩინდება, უპირველეს ყოვლისა. რაკი გრიგოლი „არა იყო, ვითარცა ჭაბუკი, მზუაობარ“, მას თავისი ღირსშესანიშნავი ცხოვრების დასაწყისშივე მოუხდება შეებრძოლოს პატივმოყვარეობის ვნებას. გრიგოლს მღვდლობის ხარისხის მიღებაც უჭირდა, „დადაცათუ აქუნდა სიყვარული მღვდლობისაჲ“. იგი გულწრფელად ეუბნებოდა კეთილისმსურველთ: „სარწმუნოთა მღვდელთათჳს ესე უწოდეთ თქვენ, ვითარმედ უფროჲს არს ყოველთა დიდებათა სულიერთა და ჯორციელთა, რამეთუ ქრისტჳს ნაცვალობაჲ არს... და აწ პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის“. გრიგოლის სწორედ სიმდაბლე-მორჩილების ნიჰზე იმოქმედებს „ველმწიფეთა მათ აღმზრდელთა მისთა, და სანატრელმან დედამან მისმან და ერისა სიმრავლემან“, როცა უთხრეს: „ აწ ნუღარა ურჩ იქმნები, არამედ მორჩილ იქმენ ბრძანებასა ქრისტჳსსა და ჰმონე მას მღვდლობითა... ხოლო ნეტარი გრიგოლი დაემორჩილა მათ“.

ხოლო როცა შემდგომ ეპისკოპოსად კურთხევაც მოუწოდომეს, გრიგოლმა პატივმოყვარეობა-დიდებას ვნებას ფარად მიუპყრო სიმდაბლე, კრძალულობის გრძნობა, ბერის შეურაცხი ჩოხა ჩაიცვა და ტაო-კლარჯეთის გზას გაუდგა. „ნეტარმან გრიგოლ, ვითარცა იხილა თავი თჳსი ჯორციელად დიდებასა შინა, ფრიად წაუხდა გული მისი და განიზრახა ფარულად სივლტოლად თჳსით ქუეყანით“.

მრავალი წლის შემდგომ, როცა გრიგოლს უკვე აეშენებინა ხანძთის, შატბერდის, უბისისა და მერეს მონასტრები, მის მოწაფეთა ღვაწლზეც მაღლიერებით ლაპარაკობდა ქვეყანა, „მრავალგზის მის ჟამისა ველმწიფეთა განიზრახეს დამტკიცებით ამის ნეტარისა ეპისკოპოსობაჲ და ფრიადითა შრომითა აწყინეს, რადთამცა დაემორჩილა. ხოლო მან არა ინება დიდებაჲ ესევეთარი და გულისკმა-უყო მათ განმარტებულად, ვითარმედ: „მსოფლიოთა მათ წმინდათა საყდართა არა უმრწმეს არიან წმიდანი უდაბნოთა ეკლესიანი... და კმა არს ჩემდა ორკერძოვე დიდებაჲ, უკეთუ შე-ვითა-უძლო მოღუაწებაჲ წმიდათა ამათ უდაბნოთაჲ ჯერისაებრ“.

პატივმოყვარეობა-სიმდაბლის დაპირისპირება „ცხოვრებათა“ მთავარი გმირის პიროვნებაში უფრო მწვავე, დრამატულ იერს არ იღებს. მეორეხარისხოვანი პერსონაჟის შინაგანი ცხოვრება კი ხშირად ხდება ასპარეზი დაპირისპირებულ საწყისთა მძაფრი შეჯახებისა. ქედმაღლობა-სიმდაბლის მოტივთა დრამატულ შეხლას გვითვალისწინებს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ის ეპიზოდი, ზენონს რომ შეეხება. ზენონი, მოგვითხრობს მერჩულე, სამცხელი დიდი აზნაური იყო, „ ღმრთისმსახურებით აღზრდილი და სიწმიდით იქცეოდა... და სწადოდა მონაზონებაჲ...“. მშობლები რომ გარდაიცვალნენ, მამული და ქონება ზენონისა მის დას დაუტოვეს. ზენონი ფიქრობდა, რომ „მამული და დედული მონაგები“ დისთვის დაენარჩუნებინა, ხოლო თვითონ შემონაზვნებულიყო. „და ვითარ ამას განიზრახავდა ზენონ, დაჲ იგი მისი ეშმაკისა განმარჯულებითა შეაცთუნა ვინმე უკეთურმან კაცმან და ღამე ყოველ წარვიდეს შავშეთს. ხოლო ზენონ, ვითარცა ცნა, შეიჭურვა საჭურველითა მარტოდ და ამჯედრდა ცხენსა და დევნა-უყო. და ვითარ დიდი ქუეყანაჲ ვლო, თქუა გულსა თჳსსა,

ვითარმედ: „ვარ მე ჭაბუკ სახელოვან და რომელსა ვსდევ, ფრიად შეურაცხ არს, დაღაცათუ ვეწიო და მოვკლა, საბრკე არს სულისა ჩემისაჲ, და უკეთუ ცუდად უკუნევიქცე სახედ ჩემდა, სირცხვლ არს ჩემდა, არამედ აღუთქმამი მონაზონობისაჲ აწ აღესრულო უფალსა“. და „ახოვან იქმნა ნეტარი ესე, რამეთუ მონაგებთა დატევებაჲ სისხლთა დათხევასა ემსგავსების, და დაიწერა ჯუარი ჯორცთა თვსთა და წარემართა საღმრთოსა მას გზასა“, გრიგოლს დაემოწაფა, „რომელმანცა მოიყვანა ხანცთად. ადგილსა მას მწუანვილსა ღმრთისა მადლისასა დაამკვდრა და წყალთა ზედა განსასუენებელთა სულისა წმიდისათა გამოზარდა იგი“.

ჩვენს წინაშეა ფსიქოლოგიურად საკმაოდ მძაფრი სიტუაცია. პატივმოყვარეობაშელახული დიდი აზნაური „შეიჭურვა“, „ამხედრდა“, „დევნაუყო“ დის შემაცდენელს, რათა შური იძიოს, სასტიკად დასაჯოს. „ვითარ დიდი ქუეყანაი ვლო“, განრისხება იკლო, გონიერებამ იმძლავრა. ზენონი თავის თავს ესაუბრება. ამ მონოლოგში ჯერ წოდებრივი ამპარტავნობა ხშიანობს, - მაღალი არისტოკრატი („ჭაბუკ სახელოვან“) ვარ და მდაბიოსთან („შეურაცხი“) შებმა არ მეკადრებაო, -რომ მოვკლა, სულს წავიწყმედო; ბოლოს თავმოყვარეობაც წარმოჩნდება, - უშედეგოდ შინ დაბრუნება სირცხვილიაო. ეს შინაგანი ჭიდილი იმით, მთავრდება, რომ თავმდაბლობა-თვინიერების გრძნობა ამარცხებს ქედმაღლობა-მრისხანების ვნებას, ზენონი მონასტერს მიაშურებს. მწერალი გარკვევით ამბობს, რომ გმირი ამაღლდა მიწიერებაზე: „ახოვან იქმნა ნეტარი ესე, რამეთუ მონაგებთა დატევებაჲ

#687

სისხლთა დათხევასა ემსგავსების“. ასე, რომ სიამაყესა და პატივმოყვარეობაზე ამაღლების მოწამეობრივი ტანჯვის ანალოგიურად სახავს ჰაგიოგრაფი. კაცი, რომელიც სულიერი ცხოვრებისათვის (ბერობისათვის) ემზადებოდა, საღვთო სამართალს ამარჯვებინებს სიამაყე-შურისგების დემონზე. რა განასხვავებს, განმარტავს ქრისტიანული ეთიკა, იმ ადამიანს, რომელიც შეურაცხყოფს, იმისგან, ვინც, შეურაცხყოფილი, იმასავე აკეთებს, რაც მას უყვარს. იყოს რიგითი ბოლო შეურაცხყოფელი, არავითარ შეღავათს არ ანიჭებს მას, მიტევების მოტივად არ გამოდგება: „დრო და ადგილი არ განასხვავებს იმას, რაც ერთი და იმავე თვისებითაა შეერთებული“.

დამაბუღლს, ვნებათაღელვით დამუხტულ სურათს ხატავს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი, როცა ჯავახეთის კრების ამბავს მოგვითხრობს. კრება მოწვეულ იქნა იმის გამო, რომ სამცხის გამგებელმა დიდმა აზნაურმა მირიანმა „მძლავრ სამცხისა ერითა მე თვსი დაადგინა კათალიკოზად თანა-დგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთაჲთა“. ეპისკოპოსთა უმრავლესობა არსენს, ვითარცა „მძლავრებით დადგენილს“ არ სცნობდა კათალიკოსად. ამ თვალსაზრისს კრებაზე ყველაზე მტკიცედ გამოხატავდა ეფრემ მაწყვერელი. „ხოლო ნეტარმან გრიგოლ ფარულად მოუწოდა ნეტარსა ეფრემს და ჰრქუა მას: „შვილო, პატივსა მაგას წმიდისა მღვდელთ-მთავრობისასა გაფუცებ, ნუ უშლი სულიერად ძმასა შენსა არსენის“. ხოლო მან ჰრქუა: „წმინდაო მამაო, ვერ ეგების ძმათა ჩემთა ეპისკოპოსთა ცილობაჲ სამართლისათვს, და მეცა შემინდევ, რამეთუ არა ვარ ამიერითგან არსენის ცხოვარი და არცა იგი ჩემი მწყემსი“.

ასეთ რთულ სიტუაციაში, როცა საქმის ემპირიულ-ფაქტობრივი გარემოებანი ეფრემს ნებას არ აძლევს, წინააღმდეგობა („ცილობა“) გაუწიოს სულიერ ძმებს, იგი ეურჩება სულიერ მამას. ხოლო გრიგოლი, ვითარცა მოძღვარი, სიმდაბლე-მორჩილების აღთქმას ახსენებს, როცა მოწაფეს მკაცრად („მკსინვარედ“) ეუბნება: „უკუეთუ ამას იქმ, ეფრემ, მე უვარ მყავ, ვითა არა შენი მოძღუარი ვარ“. ხოლო ნეტარი ეფრემ სიტყუასა მას ზედა სულიერისა მიმისა და მოძღურისასა ატირდა და ჰრქუა: „ფიცხელ არს ბრძანებაჲ ესე, განმკუთეთელ უფროდს მახვლისა. აწ ნებაჲ შენი იყავნ და ნუ ნებაჲ ჩემი, წმინდაო ღმრთისაო“. როგორც ვხედავთ, პატივმოყვარეობა-ურჩობის ვნება ეფრემ მაწყვერელის პიროვნებაში აქ ისე მძლავრად ხმიანობს, რომ მოძღვარი იძულებულია, მის ასალაგმავად სიმკაცრესა და უკიდურეს ღონეს მიმართოს. ხოლო იმის, თუ რა დაუჯდა მოწაფეს მოძღვრის ნებას დამორჩილებოდა და თავისი სიამაყე დაეთრგუნა, მერჩულის მაღალი პოეტური ხელოვნების წყალობით სრულიად ცხადად შევიგრძნობთ პერსონაჟის ქცევითაც („ეფრემ... ატირდა...“) და პასუხითაც: შენი სიტყვები, მოძღვარო, მახვილზე უფრო ჰკვეთს და არარად აქცევს ჩემს ნებას...

სულიერი მოძღვრის ზემოქმედებით აქ ეფრემი მაცხოვრის ხატს იმოსავს. ეფრემის სულიერი მზერა პირდაპირ ებჯინება განკაცებული ღმერთის ღაღადისს: „რამეთუ გარდამოვკედ ზეცით, არა რადთა ვყო ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ მომავლინებლისა ჩემისა მამისაჲ“ (იონანე. 6. 38; მათე. 26.39). მაგრამ ამ სულიერ სიმაღლემდე რაგვარი ძალისხმევით, რა ტკივილით მიიკვლევს გზას ეფრემი, ეს ფსიქოლოგიური რეალისტურობით აღბეჭდილ სცენაში საცნაურდება ჩვენთვის. საცნაურდება გრიგოლისთვისაც. იგი კარგად გრძნობს, რომ მორჩილების გამომხატველ სიტყვებში მოწაფისა პიროვნული ნების აღკვეთით გამოწვეული სიმძიმეა ჩაგუბებული. ამიტომ ამშვიდებს ასეთი რუდუნებით, მშობლისეული თანაღმობის გრძნობით მოძღვარი ატირებულ მოწაფეს: „ეფრემ სანატრელო, გისმინენ ქრისტემან, რადცა ითხოო მისგან შენ, უმანკოო გულითა და წრფელო გონებითა, მიმსგავსებულო მოძღუარსა შენსა ქრისტესა..და შენ უწყი სულითა შენითა ღმრთის მხილველითა, ვითარ ღმერთსა ებრძანა კათალიკოზობაჲ არსენისი სისრულისა მისისათჳს, არამედ მირენ მამამან მისმან, აუგიან იყო შესწრაფებითა... ხოლო ბრალი ესე არსენისლი ჩემ ზედა იყავნ“.

#688

ჰაგიოგრაფიული თხზულების მთავარი გმირი, რომელსაც თავად უკვე დაუმარცხებია ქედმაღლობის დემონი, ხშირად აი, ასეთს ძნელ სიტუაციაში გაჩნდება თავისი მოწაფის გვერდით, სიმდაბლე, მორჩილების ნიჟს აღვიძებს მასში, პატივმოყვარეობის თუ ურჩობის ვნების დათრგუნვაში ეხმარება. ქრისტიანული სწავლება კატეგორიულად მოითხოვს მართლმორწმუნესაგან, მოძღვარს მიჰყვეს, „რამეთუ იგინი იღვიძებენ სულთა თქვენთათჳს“ (ებრაელთა. 13.17).

ქედმაღლობისა და მორჩილების გრძნობათა ურთიერთდაპირისპირებაზე საუბარს უშუალოდ მიყვარათ კანონისა და პიროვნული ნების თავისუფლების საკითხთან. ეს იმდენად მნიშვნელოვანი პრობლემაა, მასზე ქვემოთ ვისაუბრეთ საგანგებოდ. აქ მხოლოდ ორიოდ სიტყვით შემოვიფარგლებით. ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ღვთის ხატად გაჩენილი კაცი „არა არს დამონებულ, არამედ ჯელმწიფე, მოქმედ მსგავსად ნებისა თჳსისა“; ვინაიდან

ვინც კანონისა და სასჯელის შიშით მოქმედებს, იგი არაა თავისუფალი. თავისუფლება ისაა, როცა კაცს აქვს „ველმწიფება ნებასა ზედა თვსსა“. ეს „ხელმწიფება“ პავლე მოციქულისგან მოაზრებულია არა როგორც თავისუფლება თვითნებობისა, არამედ, ვითარცა თავისუფლება თვითნებობის მოკვეთისა, როგორც თვითაღკვეთა, გადგომა სურვილებისგან. ქრისტეს ნათელს ზიარება იმას ნიშნავს, რომ „სიკუდილსა მისა მიმართ ნათელ-ვილეთ“ და „ძუელი იგი კაცი ჩუენი მის თანა ჯუარს ეცუა“ (აღამიდან დღემდე ჩვენში გამყარებულ მდბაღ ვნებებს მოვერიეთ). ეს იგივეა, რომ აღამიანმა უარყოს თავისი ეგოისტური ნება და ყოველი თავისი მოქმედება საღვთო ნებას დაუქვემდებაროს.

ჰაგიოგრაფიული თხზულების მთავარი გმირი თავისუფლების წვდომის დიდი ნიჭით ცხებული პიროვნებაა და უფრო ნაკლები ძალისხმევა სჭირდება მისი რეალიზაციისათვის. ხოლო ხშირად „ცხოვრებათა“ სხვა პერსონაჟები, - ზენონი და ეფრემ მაწყვერელი, სამოსლის მოყვასისთვის ვერგამმეტებელი მთავარდიაკონი, - თავის თავზე განსაკუთრებული ძალდატანებით, მძაფრი შინაგანი კონფლიქტის გზით მიელტვიან ამ თავისუფლებას. ჰაგიოგრაფები ფსიქოლოგიური რეალისტურობით აღბეჭდილი პასაჟებით გვეუბნებიან, რა შინაგანი შეჭირვების საფასურად მიიკვლევენ გზას ეს აღამიანები იმ „მადლისკენ“, რომელიც მათ „ბოროტების ინერციისგან“ გამოიყვანს, მიაბრუნებს „სიყვარულისკენ“, რომელიც მათ პირადი ნების მოკვეთას შეაძლებინებს.



მაგრამ ნაკლებგამოკვეთილ პირთა მეორე ნაწილი შინაგანი თავისუფლებით მიუყვება მორჩილება-სიმდაბლის გზას. მათი ამალღებული ძალმოსილება ნიმუშად ისახება ხოლმე. ხოლო ერთგან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ სასურველ თავისუფლებასთან წილნაყარი სიმდაბლის ასეთი „პროვოცირებაც“ კი ხდება მოძღვრისგან: ნემვის მონასტრიდან ხანძთაში სტუმრად მოსულ ბერებს ერთხელ გრიგოლმა ჰკითხა: „სიმდაბლე სრული საქმით და არა სიტყვით არსა მონასტერსა თქუენსა შორის ძმათა?“ ხოლო მათ ჰრქუეს: „არს ლოცვითა შენითა“. ამასობაში ჟამისწირვის დაწყების მაუწყებელი ზარი ჩამოკრეს. გრიგოლმა ბრძნა, ჟამისწირვა ხანძთის მამასახლისად დადგენილ ეპიფანეს აღესრულებინა. „და ეტვფანე „წმიდაო ღმერთოჲსა“ წინა ასამალღებელსა იწყო თქუმად, აღვიდა ხოლო საკურთხეველად მამა გრიგოლ და კურთხითა სცა თავსა და ჰრქუა: „დაადუმენ“. ხოლო იგი შეუშფოთებლად დაადუმნა, და უბრძანა სადიაკონედ, წარსვლად და განძარცუვად. მაშინ ყოველი ერი განკვრევბისა ზარმან აღავსო, ხოლო იგი წარვიდა და განიდრცუა და მივიდა და დადგა წინაშე მოძღვრისა და თვსისა მყოვარ ჟამ. და კუალად უბრძანა შემოსად და ჟამის-წირვად. და იგი სიხარულით შეიმოსა და შეუვრდა ნეტარსა გრიგოლსა. ხოლო

მან ჯუარი დასწერა. და აღვიდა იგი საკურთხეველად, მძლე ამპარტავნებისა სენთა, და იწყო შეწირვად მსხუერპლთა მათ უსისხლოთა. არამედ მიზეზი საქმისაჲ ამის ვერავინ იკადრა კითხვად წმიდისა მის, ვიდრემდის თვთ უბრძანა ძმათა მათ ნემუელთა. „იხილეთლა, ძმანო, საყუარელნო, სიმდაბლე საქმით სრული ეპიფანესი? გრწმენინ ჩემი, ჭეშმარიტსა ვიტყვ წინაშე ღმრთისა. არარაჲ ბრალი უქმნიეს მას, რამეთუ ღმრთის-მოშიშებისა და სიწმიდისა და სიმდაბლისა მისისათჳს მარადის მადლი სულისა წმიდისაჲ დადგრომილ არს მის თანა. ხოლო არს სიმდაბლე დამდაბლებულისაჲ დადგრომილარს მის თანა. ხოლო არს სიმდაბლე დამდაბლებულისაჲცა ბრალთაგან, არამედ რაჲ სწორებაჲ არს ნათლისა და ბნელისა, რამეთუ ჭეშმარიტისა ნათლისა სამოსელი ჰმოსია სიმდაბლითა სარწმუნოთა შემკობილთა მრავალთა შორის ძმათა ამათ. და ესე თქუენისა ხილვისათჳს ვყავ, რამეთუ სთქუეთ ძმათა თქუენთა სრული საღმრთოდ სიმდაბლე“.

ფსიქოლოგიურად უაღრესად დატვირთული ეს პასაჟი აზრობრივი ქვეტექსტით და მხატვრული ჩანაფიქრით ძველი აღთქმის იმ ეპიზოდ ჩამოგავს, როცა უფალი უბრძანებს აბრაამ მამამთავარს: „მოიყუანე ძე შენი ისაკი... და შეწირე იგი მუნ ყოვლად დასაწველად“. აბრაამი ისაკითურთ მივიდა ღვთისგან განჩინებულ ადგილას, ააშენა საკურთხეველი, „დაასხა შეშაჲ და შეკრა

#689

ისაკი... და განყო კელი თჳსი მოღებად მახჯლისა დაკლავად მისა თჳსისა“. და მაშინვე გამოუჩნდა აბრაამს „ანგელოზი უფლისა ზეცით“ და აუწყა ღვთის სურვილი, - შვილის ნაცვლად ვერძი შეეწირა (დაბ. 22. 2-13). აქ საცნაურდება, რომ ღვთის ჩანაფიქრს სიცოცხლისაკენ მივყავართ და არა სიკვდილისაკენ, რწმენისა და სიყვარულის ცხოველმყოფელობა ღვივდება და დასტურდება ამ გამოცდით. აბრაამი მთელი სიცოცხლე განუხრელად მისდევდა ღვთის სიტყვას, რომლისა აზრიც მას შეიძლება არც ესმოდეს, როგორც აქ. მაგრამ რაც აქ გამოცდაა აბრაამისთვის, უფლის ჩანაფიქრი არის დადასტურება რწმენით გამოკვებილი სიმდაბლის გრძნობის სიცოცხლისუნარიანობისა, რასაც კაცთა მოდგმის ნიმუშად მოუხმობს უზენაესი. გამოცდა ტარდება აბრაამის რწმენის წარმოჩენისათვის, რათა ბიბლიური მამამთავრის მაგალითით ღმერთმა გვაჩვენოს ის, რისი სწავლებაც სურს ჩვენთვის მის ძეს, როცა მორჩლად ნებდება გოლგოთის ძალმომრეობას.

ეპიფანეს ასევე მორჩილად აღასრულებს მოძღვრის ბრძანებას. მასაც არაფერი გაეგება იმ რისხვისა, რომელმაც „კუართხითა სცა თავს და უბრძანა „დადუმება“ და „განმარცუა“. დიდი რწმენა და სიყვარული შეაძლებინებს ეპიფანეს „ნებისმიერ თჳსისა“ განაგდოს სიამაყე-პატივის ვნება, იყოს თავის უფალი. ძლიერი ნებელობით, მაგრამ დაფარული ძალისხმევით წვდომილ ამ თავისუფლებას მიაწიშნებს მწერალი, როცა იტყვის: „ხოლო იგი შეუშფოთებლად დადუმნა“. დამაბული სიმშვიდეა ეს, რომლის უკან ნებელობის საგანგებო წვრთნის, სურვილთა აღკვეთის ასკეტური გზის სიძნელე მაინც განჭვრიტება, იგრძნობა. ამ უკანა პლანში მომავალიცაა ჩართული. ეპიფანეს ქცევას მის ხასიათზე არა ნაკლებ განსაზღვრავს ჭკრეტა იმ მომენტისა, როცა იგი უზენაესს უნდა წარუდგეს. წესად დაიდგ, მოძღვრავს შემსგავსებულ სიტუაციაში მოხვედრილ მართლმორწმუნეს თომა კემპიელი, რომ სულიერი გაცხარების ჟამს იფიქრო იმაზე, რა მოგივა, როცა წუთისოფელს განემორები.

როგორც კაცობრიობისთვის ნიმუშად განაცხადებს უფალი აბრაამის რწმენას და გამოცდის მას, ასევე თავისი მოწაფეების ჭეშმარიტების გზაზე განმტკიცებისათვის გამოუხმობს გრიგოლ ხანძთელი ეპიფანეს მორჩილების გრძნობას და გამოსცდის ყველას თვალწინ. გრიგოლს სჭირდებოდა დადასტურება-დამოწმება რწმენის ძლევამოსილებისა, ხოლო ეპიფანე ამ გამოცდით თავის საუკეთესო „მეს“ ამკვიდრებს უზენაესისა და საკუთარი თავის წინაშე (აბრაამის გამოცდის შესახებ იხ. ლოსკი გვ. 299).

თუმცა ეპიფანეს აზრები და გრძნობები აქ გამოთქმული არაა, ერთიანად დამაბული სიტუაცია მაინც მეტყველია და მიმანიშნებელი. დუმილითა და ლაკონური მინიშნებებით მეტყველება ბიბლიური სტილის პრინციპული ნიშანია და მისი ბეჭედი აბრაამის იმ ეპიზოდსაც აზის, ზემოთ რომ მოვიხმეთ. აბრაამის „უსიტყვო მორჩლება მრავალმნიშვნელოვანია და ღრმადსაწვდომი“, - ამბობს ერიხ აუერბახი. ესაა „ფსიქოლოგიური სიტუაცია იმდენად არა გამოთქმული, რამდენადაც მინიშნებული“. ამგვარი ხედვა და ასე ხატვა, სრულიად უცხო ჰომეროსის სტილისათვის, ადამიანს წარმოგვიდგენს ერთობ რთულ, შინაგანად მრავალფეროვან ქმნილებად, - დასძენს იგივე მკვლევარი. ამ სტილის მიმდევრებმა „შეძლეს ეჩვენებინათ ცნობიერების ერთდროულად არსებული ფენები, დალაგებულნი ერთიმეორეზე, და გამოეხატათ მათ შორის გაჩაღებული კონფლიქტი“.

ბუნებრივია, რომ ამ სტილისტური მდინარეების ფარვატერში მუშაობენ ქართველი ჰაგიოგრაფებიც. „ისინი ცალი თვალით იყურებოდნენ ბიბლიაში, სადაც პოულობდნენ საჭირო ნიმუშებს, მათ მეხსიერებაში ინახება ძველისა და ახალი აღთქმის ისტორიის სახეები“ (კ. კეკელიძე).

ღვთის სიყვარულის თემა ჰაგიოგრაფიულ ცხოვრებათა ფირცლებზე სხვადასვა სათნოებათა (სიქველეთა) მოტივებად განშტოვდება. მრავალთაგან ასეთებია ხორციელი სიქველე-ღვიძილი და სულიერი სიქველე-მღვიძარება. გრიგოლ ხანძთელის დამამშვენებელ სათნოებათა შორის აღნიშნულია, რომ იგი არს „შემწირველი ცრემლითა წმიდითა უძილთაგან თუალთა და მღვდარისგან სულისა“. აქ, როგორც ვხედავთ, ცხადად გარჩეულია ერთმანეთსაგან უძილობა ხორციელი - ღვიძილი, და მღვიძარება, თვისება სულისა. მიიჩნევდნენ, რომ ძილის სიყვარული ხორცის განებივრებით მრავალ ცოდვილ სურვილს აღძრავს, ხოლო ღვიძილი შემუსრავს მათ. „სიმრავლემან ძილისამან განაფიცა გული და დააბნელა სული. მონაზონი მღვდარე მტერი არს სიძვისა, ხოლო მოძილი მეგობარი არს მისი. მღვდარება შემუსვრა არს გულფიცხელობისა... დამდაბლებულ არს გულისა... მომადნობელ არს ჭამადთა; აღვირი ენისა და მათებელ ოცნებათა;... ძილი ფრიადი მეუღლე არს ბოროტი“ (იოანე სინელი, „კლემაქსი“).

გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრების“ აღმწერი არა მხოლოდ იმას გვაუწყებს, რა კეთილ თვისებათაგან ყოფილა შემკული მისი გმირი, არამედ რა გზით შეუთვისებია ისინი. გრიგოლი საგანგებოდ დადიოდა მარტოდ მყოფ მეუდაბნოებთან, „რომელნი იგი იზარდებოდეს მოძღვართა სახედ... ყოველთა მათ ნეტართა მოიხილავნ წმინდაჲ გრიგოლ და კეთილთა ქცევათა მათთა ისწავებნ, რომელთაგანმე - ლოცვასა და მარხვასა, რომელთაგანმე - სიმდაბლესა და სიყუარულსა, რომელთაგანმე - სიმშვიდესა და განურისხველობასა,

რომელთაგანმე - უპოვარებასა და ქუეყანასა ზედა წოლასა, გინა თუ ზეჯდომით ძილსა“. ჯერ იმას მივაპყროთ ყურადღება, რომ გრიგოლს სხვა სათნოებათა შორის მარტოდ მყოფთაგან უსწავლია მიწაზე წოლა და „ზეჯდომით ძილი“. დიდი ასკეტები საგანგებოდ განმარტავდნენ, „საიდან მომდინარეობს

#690

მთვლემარება და სიცივე სულისა“, რომლებიც ჩააქრობენ ხოლმე სულის წმინდა აღმაფრენას და „ჩაკლავენ ღვთისაკენ სწრაფვას“, ჩაახშობენ „ზეციურისაკენ მიმართულ მხურვალეებას“ (ისააკ ასური), რათა სხეულის მთვლემარება სულზე არ გადავიდეს, გრიგოლი მიწაზე წევს ან „ზეჯდომით“ იძინებს.

ახლა იმას დავაკვირდეთ, რომ სასულიერო მოღვაწეობის გზაზე შემდგარნი საქართველოში ადრეულ შუა საუკუნეებშივე იღებდნენ დახვეწილ საქრისტიანო განათლებას. სწავლების ამ სისტემაში მთავარი ყურადღება ექცეოდა არა თეორიულ-ლოგიკურ წვრთნას, არამედ ზნეობრივ ღირებულებათა ათვისებას. ასეთ სკოლაში სიბრძნე თეორიული ინტელექტის ატრიბუტი კი არ იყო, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ნებელობის ატრიბუტი; იგი განყენებული გონებრივი საკითხების გადაწყვეტაში კი არ გამოვლინდებოდა, არამედ იმაში, რომ „მართავდე საკუთარ გულს“ (ს.ავერინცევი). როგორც ვნახეთ, მერჩულე ჩამოთვლის მთელ წყებას „კეთილთა ქცევათა“ და „სათნოებათა“, რომლებიც გრიგოლს შეუთვისებია მეუდაბნოვე ბერთაგან. მხოლოდ ასეთ სიბრძნეთაგან აღვსებული „მიქცეულა საყოფელადვე თვსა“ და შედგომია დიდ, საშვილიშვილო საქმეთა კეთებას.

მერჩულის უკვე მოხმობილი პასაჟიდანაც ჩანს, რომ ღვიძილის ასკეტურ პრინციპებს ენათესავება სხვა სხეულებრივი სათნოება, მიწაზე წოლა, რომელიც გრიგოლს შეუთვისებია. ასკეტური ზნეობის წესთა განმაჩინებელ ლიტერატურაში დაფიქსირებულია „ქუეყანასა ზედა წოლა უსაგებლოდ“ (მარტვრი მონაზონი, „სინანულისათჳს ს და სიმდაბლისა“).

ეკლესიის მამათა წიგნებშიც და ახალ თეოლოგიურ-სამეცნიერო ლიტერატურაშიც სულიერი მღვიძარება მოიაზრება ვითარცა სხეულებრივი სიფხიზლის, ღვიძილის შემდგომი უფრო მაღალი ეტაპი და გულისხმობს ორ რამეს: მზადყოფნას უფლის შესახვედრად მეორედ მოსვლის ჟამს და სიფხიზლეს ყოველდღიურ საცდურთა წინაშე.

სულის გამუდმებული მცდელობა, განუწყვეტელი შრომა იმისათვის, რათა წუთითაც არ დარჩე უფლის გარეშე, არის სწორედ მღვიძარება. როგორც კი ღვთის შუქი და მაღლი ტოვებს კაცს (თუ კაცი მიიქცევა მათგან), მას უახლოვდება სატანა. მოციქული შეგვაგონებს: „განიფრთხვეთ, მღვდარე იყვნით, რამეთუ წინა-მოსაჯული თქუენი ეშმაკი, ვითარცა ღომი მყვრალი მიმოვალს და ეძიებს, ვინმცა შთანთქა“ (1 პეტრე, 5.8).

გიორგი მერჩულის თხზულების მთავარი გმირი და მისი მოწაფეები უფლის ბრძანებით უკაცრიელ ხანძთაში სრულიად უქონელნი იწყებენ სამონასტრო მშენებლობას. გრიგოლი ლოცულობს, რათა „ჟამსა ამას უცხოებისა და უპოვარებისა მათისა“ არა შეეშინდეთ „ბოროტისგან“. შიშს, რომ ამ პირობებში ძნელია ღვთის ბრძანების შესრულება, მწერალმა გმირის შეგნებაში დაუპირისპირა მეორე შიში, რას უნდა მოელოდეს „უღებებისა

მედგრობათაგან ძლეული“ განკითხვის ჟამს, თუ ღვთის ნებას ვერ აღასრულებენ. საამისოდ დაცოცხლებულია განკითხვის ზარის დრამატული სცენები. ამ ლოცვაში საკმაოდ ვრცლად და წრფელი შთაგონებით მოიგონება, მლოცველი შინაგანი მზერის წინ დაიყენებს წმინდა გიორგის სახეს და დიდ ღვაწლს. მღვიძარებს დიდი ასკეტის სული. მისი ცხოვრების გზაზე აბსოლუტური მომავალი (მიწიერი მყოფებიდან გასვლის შემდეგ მოსახდენი), წარმართავს აწმყოსა და ემპირიულ მომავალს. ის, რაც ხდება, გულმოდგინედ კორდინირებულია მოსახდენთან. გრძელი და დეტალური ციტატებით აპოკალიფსის ფურცლებიდან, მათი განმეორებით ასკეტებს ეს აბსოლუტური მომავალი შემოჰყავთ აწმყოში, თავის ცნობიერებაში. როცა ისინი მაცხოვრის, მოციქულებისა და წმინდანების მოღვაწეობათა წარმომადგენელ, საყოველთაოდ ცნობილ ეპიზოდთა ასევე ვრცელ რეპროდუცირებას მიმართავენ (ხშირად მხოლოდ მარტოდმოფნი), მათ უკვე საკრალური მნიშვნელობის წარსული შემოჰყავთ აწმყოში, თავის ცნობიერებაში. ამას გულისხმობს იოვანე ოქროპირი, როცა ამბობს: „კსენებითა სიტყუათა ღმრთისადათა შემძლებელ არს კაცი სლვად გზათა მისთა“.

რაფინირებული სულიერების ის საუფლო, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ რომაა განფენილი, იმის შეგნებით გამოწვეულ სიხარულსაც ეფუძნება, რომ „შენ, უფალი, ჩემ თანა ხარ“ (ფსალმ. 22,4); რომ ასკეტი უჭვრეტს უზენაესს, მკვიდრობს „სახლსა უფლისასა“ (ფსალმ. 22,6). ე.ი. ლოცვის აქტში ადამიანი ადამიანურს აღმატებული ძალით აღჭურვისავენ იკვლევს გზას. უფალი თავის თავს გვიძღვნის სასაუბროდ. თუმცა ლოცვა შეიძლება შეიცავდეს რაღაც სათხოვარს, მაგრამ გულმხურვალე ლოცვისას სათხოვარი აუცილებლად გადადის მეორე ადგილზე. „თვით მოწიწება იქცევა კმაყოფილებად, თვით თხოვნა - ნეტარებად. მისი (ლოცვის გ.ფ.) არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ, საერთოდ, გაგვიგონებენ“ (ჰეგელი). გულითადი ლოცვა ხვეწს სულს, მის აღმზრდელად გვევლინება. ასეთი შინაარსითა და განწყობილებითაა აღბეჭდილი წმიდა გრიგოლის ის ლოცვა, მღვიძარების სათნოებასთან დაკავშირებით რომ მოვიხმეთ. ეს ლოცვა, როგორც მერჩულე იტყვის, „გონებითა შემუსვრილითა წართქუა“. „გონებითა შემუსვრილითა“ ნიშნავს „გონებას მოზღუდულს“ ობიექტური სინამდვილის შთაბეჭდილებებისაგან, ერთიანად ზეცისკენ მიქცეულს, უზმოდ, უსიტყვოდ წარმართულს „ნივთიერებასთან შეუხებელს“ (სახმო სიმები რომ არ ჟღერდეს). ზოგჯერ მას „გონებით ლოცვა“ ან „წმინდა ლოცვად“ მოიხსენიებდნენ, ყოველთვის კი ლოცვის მაღალი საფეხურის აღმნიშვნელი იყო.

ლოცვით საკრალიზირებულ სივრცეში მარადიული ნათელი ისადგურებს და ეს საღვთო სინათლე თვით მლოცველიდან მო-

#691

დის. გიორგი მერჩულე გვიამბობს: „გრიგოლის სენაკში ცეცხლი და კანდელი არ ენთებოდა. ერთხელ „ჟამსა ცისკრისასა“, დეკანოზმა მნათე გაგზავნა გრიგოლთან. „ვითარცა მივიდა, იხილა ბრწყინვალეზად დიდძლი შინადა გამო სენაკსა მას. მსწრაფლ მირბიოდა და ჯმა-ყო, ვითარმედ: „ცეცხლი აღდებულ არს სენაკსა შინა მამისასა“. ჰრქუა მას დეკანოზმან: „დუმენ, შვილო, და ნუ გეშინინ! არა არს იგი ცეცხლი შემწული, გარნა სული ღმრთისაა განმანათლებელი“. რამეთუ მრავალგზის ეხილვა დეკანოზსა მას ხილვად იგი დიდებული. და

მი-ხოლო-ვიდა სენაკად დაშთახედა კედელისა ნაპრალსა და იხილა წმიდა იგი კელგანპყრობით, და გუამით მისით გადმოვიდეს ნათლისა ისარნი ჯუარის სახედ. და დიდებითა შემკულ იყო იგი და ესრეთ ბრწყინვიდა, ვითარცა მზე“.

სინათლე განწონის ბნელს, დრო-სივრცულ მიმართებებს აუქმებს. ამაზე ამბობს მარტინ ბუბერი: ლოცვა არ აღსრულებს დროში, არამედ დრო მიედინება ლოცვაში; მსხვერპლშეწირვა არ აღსრულებს სივრცეში, არამედ სივრცე მყოფობს მსხვერპლში („მე და შენ“). ლოცვიდან სინათლე-სიკეთის ამგვარ გამოსხივებას ვესწრებით, როცა მერჩულე მოგვითხრობს: „და ვითარცა შემწუხრდა, მაშინ ნეტარი იგი მამად გრიგოლ და ზენონ სიტყვთა მდაბლითა ფსალმუნებდეს. და მადლმან საღმრთომან განაბრწყინვნა იგინი ნათლითა დიდებისადათა, და სახლი იგი ბნელი, ვითარცა მზისა მცხინვარებამან განანათლა“.

კიდევ ერთი ეპიზოდი: „ნეტარი მამად გრიგოლ თვსით აგარაკით მარტოდ შთამოვიდოდა ხანძრას და მგზარ სლცასა ზეპირით წმიდისა მამისა ეფრემის თქუმილთა საკითხავთა იტყოდა გოდებით ტირილსა შინა. ხოლო სულითა იხარებდა, რამეთუ ხედვიდა საღმრთოთა ხილვათა მადლითა სულისა აღწევნული ჰფარავდა მას. და იყო თავსა მისსა ჯუარი თუალთ-შეუდგამი გარემო მისსა ცისარტყელის სახედ, შუენიერად რად გამოჩნდის ჟამსა წვმისასა“. გულუბრყვილოდ შეცდება მკითხველი, თუ იფიქრებს, რომ აქ წარმოჩენილი ნათელი მხატვრული სახე-სიმბოლოა, რომ საქმე გვაქვს პოეტურ ორნამენტთან. სამივე ეპიზოდში თავს იჩენს მეტაფიზიკური სინათლის ის მსოფლშეგრძნება, ძველ აღთქმაშივე რომ ვლინდება, ხოლო მერე საეკლესიო ღვთისმეტყველებაში გამოიკვეთება. მას, ვითარცა ღვთაებრივ ნათელს, არა აქვს ალეგორიული ან აბსტრაქტული მნიშვნელობა: იგი რეალობაა, მისტიკური ცდით რომ მიიწვდომება. „ღვთაების ეს ცდისეული შემეცნება ყველას ეძლევა გარკვეული საზომით და შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი ხარისხისა იმათი ღირსებისდა მიხედვით, რომელთაც იგი ებოძებათ“ (წმ. გრიგოლ პალამა, „სიტყვა ფერიცვალებაზე“). როცა ეს ნათელი ვლინდება, სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის მიხედვით, სხვაობა გრძნობადისა და ზეგრძნობადისა, იშლება. „როცა ღირსეულნი იღებენ სულიერ და ზეზუნებრივ მადლს და ძალას, ისინი შეგრძნებითაც და გონებითაც ხედავენ იმას, რაც აღემატება ყოველგვარ გრძნობას და ყოველგვარ გონებას“ (ათონელ ბერთა „ჰაგიორიტული ტომოსი“). ბუნების ქვედამზიდველ ძალთა ახოვნად მძლეველი წმიდა გრიგოლი ჟამსა ლოცვისა („რომელიც არის გონების ზეაღსვლა ღმერთთან“, ნილოს სინელი) იღებს ზეზუნებრივ ძალასა და მადლს, „შეგრძნებითაც და გონებითაც“ ჭვრეტს ღვთაებრივ ნათელს, იმას, რაც აღემატება ყოველგვარ გრძნობას და ყოველგვარ გონებას;“ ჭვრეტს, აირეკლავს და სხვებზე მიაფენს. ამგვარ ჭვრეტასა დაარეკვლაზე იტყვის ვლადიმერ ლოკსი: „ღვთაებრივი ნათელი გამოვლინდება აქ, მიწაზე, დროში. იგი გაცხადდება ისტორიაში, ამგრამ იგი არ არის ამქვეყნიური, იგი მარადიულია და მოასწავებს გასვლას ისტორიული არსებობის ფარგლებიდან“ („ადმოსავლურ ეკლესიის მისტიკური ღვთისმეტყველების ნარკვევი“).

სამივე ეპიზოდში ასეთ ნათელი იღვრება ლოცვის აქტში გონებით უფალთან ზეაღწეული გრიგოლის პიროვნებიდან. თუმცა სამივე „ამბავი“ კონკრეტულ დროსა და სივრცეში ხდება, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ასკეტი უფალს ჭვრეტს, ისტორია, სრულიად გარკვეული აზრით, უქმდება. მარტინ ბუბერის სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთი „ლოცვა არ აღსრულებს

დროში, არამედ დრო მიედინება ლოცვაში“. კონკრეტული სივრცეც მისტიკურ ზესივრცულობაში ინთქმება.

წმინდანის სულიდან წამოსულ სინათლეს ძალუმს განწონოს „ჭურჭელი სულისა, სხეული, განწონოს სამოსელიც და მიეფინოს ირგვლივ. ასე იხილვება წმ. გრიგოლი, ჯავახეთის კრებაზე თავმოყრილთაგან: „მეყსეულად იხილეს წმიდა იგი მომავალი კარაულთა შორის კრებულსა მას მამათასა საკვრველად ხილვითა, რამეთუ სამოსელი იგი შეურაცხი, რომელ ემოსა მუხუცებულსა მას, ესრეთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი ნათლისა იხილვებოდა, ვითარცა გვრგვინი სამეფოვად პატიოსანთა თუალთა და მარგალიტთაგან ფასდაუდებელთა აღმკული“.

განწმენდილი გონება ლოცვის აქტში უფლის წინაშე აშიშვლებს საკუთარს, მოყვასისა და კაცობრიობის შეცოდებებს და უღონობას. ამიტომ ხშირად ლოცვას თან ახლავს გოდება, ცრემლი სინანულისა, მწუხარება. ახალი აღთქმის მიხედვით, ნეტარ არიან მტირალნი (ლუკა, 6, 21) და „მგლოვარენი გულითა“ (მათე, 5, 4). ცრემლის სათნოება თვითშეგნების შედეგად იშობება. იოანე სინელიც ადასტურებს: „გლოვა ტანჯვა არს სჯნდისისა დაუცადებელი“, ნათლისღების შემდგომ ქმნილ ცოდვებს ჩამოგვბანს „წყალი ცრემლთანი“ („კლემექსი“). ამიტომ ასეთ მწუხარებას სასოწარკვეთა კი არა, რწმენითი შთაგონება მოაქვს, უფლისაკენ,

#692

სიხარულისაკენ კვალავს გზას. როცა სულს სინანულის გრძნობა და ცრემლი არ წარმართავს, ეს არის შეჩერება აღმასვლის გზაზე, „უგრძნობლობა გაქცევებული გულისა“, ნიშანი სულიერი სიკვდილისა“, - გვასწავლიან ეკლესიის მამანი.

მივუბრუნდეთ მოხმობილ ეპიზოდს, როცა წმ. გრიგოლი, შატბერდიდან ხანძთისაკენ მიმავალ გზად წმ. ეფრემ ასურის საგალობელთ „იტყოდა გოდებით ტირილსა შინა. ხოლო სულითა იხარებდა, რამეთუ ხედვიდა საღმრთოთა ხილვათა“. ურთიერთსაპირისპირო განცდები - ტირილი და სიხარული - გადაკვეთენ ერთმანეთს და მისტიკურად შეზავდებიან წმინდანის სულში, ხოლო მერე გარეთ გამოვლინდებიან, ხორციელი ხედვისათვის ესთეტიკურის ფორმით („მშვენიერისა“) გაცხადდებიან: „... და იყო თავსა მისსა ჯუარი თუალთ-შეუდგამი გარემო მისსა ცის-სარტყელის სახედ, შუენიერად რად გამოჩნდის ჟამსა წვმისასა“. „ჯუარი თვალთ-შეუდგამი“ არის თვალშეუდგამი ღვთაებრივი შუქის ნაკადი, წმინდანის სულზე ზეციდან რომ გამოდღვრილა და მისსავე თავზე ჯვრის ორმით აღმართულა. მისტიური სინათლის ეს ნაკადი მატერიალური სინამდვილის ნაკადს - წვიმას გადაკვეთს. ორი სინამდვილის შეჯვარედინების ხაზზე კიაფობს მშვენიერება „ცის-სარტყელის სახედ“. სინათლე სიხარულის გამონაშუქია („სულითა იხარებდა“), ხოლო წვიმა-ცრემლებისა („იტყოდა გოდებით ტირილსა შინა“). აქ უკვე ერთადაა მისტიკა და ესთეტიკა.

თითქოს გიორგი მერჩულის თხზულების სწორედ ამ პასაჟს ეხებაო, ისე აღიქმება წმ. ისააკ ასურის (VII ს.) ეს სიტყვები: „ცრემლები ლოცვის დროს - ნიშანია ღვთის წყალობისა, რომლის ღირსი გახდა სული სინანულის განცდით, - იმის ნიშანია, რომ ლოცვა შეწყნარებულია და ცრემლად იწყო მოდენა სიწმინდის ველზე“ („სამოღვაწეო სიტყვები“, სიტყვა 30). ახლა მეოცე საუკუნის დიდ რუს ღვთისმეტყველს მოვუსმინოთ: „ეს მადლიანი ცრემლები - სინანულის დამთავრება - ერთდროულად უსასრულო სიხარულის დასაწყისად გვევლინება“ (ვლ.

ლოსკი, „აღმოსავლური ესკლესიის მისტიკური ღვთისმეტყველების ნარკვევი“). იმავე ისააკ ასურს ეკუთვნის სულის შემძვრელი სიტყვები : „სინანული არის სულის თრთოლვა სამოთხის კარიბჭესთან“.

წმ. გრიგოლმა რომ ხანძთის საფუძვლის ჩაყრისას ლოცვა ადავლინა უფლის მიმართ, „ლოცვად ესე ცრემლით კელგანპყრობით წართქუა“. დიდი ასკეტი გოდებს, რომ მზად არ არს უფალთან პირმართალი შეხვედრისათვის, დაუდევრობის უძღურებისგანაა „ძლეული“, არაფერი გაუკეთებია ისეთი, „უბრალო“ (ე.ი. უდანაშაულო) რომ წარმდგარიყო ქრისტეს წინაშე. ჯერ კიდევ წინაა ხანძთის, შატბერდის, უბისის, მერესა და გუნათლეს სავანეების მშენებლობა, სწორუპოვარი საუფლო და საეროვნო საქმეები. ამ სიმაღლეებისაკენ აზრით და შეფრფინვით მისწრაფებულს, უძლიერესს, მაგრამ სრულიად დაუხარჯავ სულს, სიზარმაცისა და უძღურებისაგან შებოჭილად წარმოუდგება თავი და მწარე ცრემლებით ცდილობს მათ ჩამორეცხვას. ჩვენ ვისმენთ ჭმუნვას იმ პიროვნებისა, რომელშიც ადამიანის მაღალი დანიშნულების აბსოლიტური შეგნება ფაქიზად, მაგრამ მტკივნეულად რომ შერწყმია თავმდაბლობის ნიჭს.

შატბერდის მონასტრის საფუძვლის ჩაყრასაც წინ უძღვის წმ. გრიგოლის ცრემლიანი ლოცვა, იმავე გრძნობა-განწყობით განსაზღვრული.

ემშაკისგან ვნებული ბავშვის მხილველი წმიდა გრიგოლი „ დადგა კელ-განპყრობით ლოცვად წინაშე ღმრთისა, სულთქმითა დაუდუმებელითა და ცრემლთა წყაროებრ მდინარეთა“. ბოროტი სული დაეხსნა ბავშვს.

გრიგოლ ხანძთელმა მოწაფეთა დიდი დასი გაწვრთნა და გამოიყვანა ეროვნული კულტურის ასპარეზზე. ერთ-ერთი მათგანი იყო ნეტარი მატო, ქალწულობის სათნოებით ყველასგან გამორჩეული მოღვაწე. ქალწულობა არ ამოიწურება ხორციელი სიწმინდის დაცვით. „თავშეკავების მკაცრი კანონი წესს განუსაზღვრავს ენასა, სამანს დაუდებს თვალთა ცნობისწადილს, და ყურს ასწავლის იმის მოსმენას, რაც აუცილებელია - „ქალწული კრძალულია“ (თოფვანე დაყუდებულის მიერ შეკრებილ ძველ სამონაზვნო წესდებათაგან). გიორგი მერჩულე მატოს შესახებ ამბობს: „წელიწადთა ორმეოცეთა მერეს მღდელობასა შინა მისსა უქმი სიტყუად და უსარგებლოდ პასუხი არავის ესმა მისგან“. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რასაც მერეს დედათა მონასტრის დეკანოზი თემესტია ყვება მატოს შესახებ: „ ნეტარ მატოს კრძალულობა ისეთი დიდი ყოფილა, რომ 40 წლის მანძილზე ერთხელაც არ მიუცია თვისათვის ნება, ქალის ხელიდან მიეღო საცეცხლური (ლ. ბაშელიშვილი, „მონასტრული ცხოვრების პრინციპები ქართულ ჰაგიოგრაფიაში“).

∴

ასკეტური ბრძოლა ვნებებთან, რასაც სათნოებათა აღმოცენება მოჰყვება, იმას ნიშნავს, რომ ის ხატობრივი თვისებები, ადამიანში შესაქმის ჟამს რომ შთაინერგა (მერე რომ ცოდვით იქნა დამცრობილი, ე.ი. თავდაპირველი ხატება ღვთისა), კვლავ გაბრწყინდა. წმინდანი მიეახლება უფალს. „ სათნოებათა გზის დასასრულად , - გვასწავლის წმ. გრიგოლ ნოსელი, - გვევლინება ღმერთთან შემსგავსება“. უფალთან შემსგავსების ამ გზაზე ასკეტს იარაღად აქვს ღვთისგან

ბოძებული მადლი და ნიჭი თავისუფლებისა. როგორც ზემოთ ითქვა, თავისუფლება („ხელმწიფება“, „აზნაურება“) პავლე მოციქულის მიერ მოიაზრება ვითარცა

#693

თავისუფლება თვითნებობისაგან და არა აშვება თვითნებობისა. ეს ნიშნავს: ადამიდან დღემდე ჩვენში გამყარებულ ვნებებს, ცოდვებს ვთრგუნავთ, ვკლავთ: „ძუელი იგი კაცი ჩუენი მის თანა (ქრისტეს თანა) ჯუარს ეცუა“ (რომ., 6,6); „აწ განთავისუფლებულ ხართ ცოდვისაგან, და დამონებულ ხართ სიმართლესა“ (რომ. 6,18). სულის ზემოქმედების ძალით სიყვარულის საქმეს ჩვენ აღვასრულებთ სრულიად ბუნებრივად, ვინაიდან „სადა სული უფლისაა, მუნ აზნაურებაა არს“ (2 კორინთ. 3,17). აი, რატომ შეიძლება ვთქვათ, რომ ჰაგიოგრაფიულ გმირთა ტანჯვა-ტკივილის, ასკეტური ღვაწლის დახასიათება მათივე სიყვარულის განცდის წარმომადგენელია. „თავისუფლება, როგორც ჭეშმარიტად ნაყოფიერი საქმიანობის პირობა - ეს სხვა არაფერია, თუ არა უარყოფა საკუთარი „მესი“, ზუსტად ისევე, როგორც ტრფიალება, პავლე მოციქულის გაგებით, თავისუფალია თავის თავის რაიმეგვარი სიყვარულისგან. იყო თავისუფალი ყველა ხლართისაგან, გამორჩენისაკენ სწრაფვისგან, არის სწორედ ჭეშმარიტი სიყვარულისა და შემოქმედებითი არსებობის პირობა“ (ე. ფრომი, „ქონება თუ ყოფნა“, ზაზგასმა ჩვენი - გ.ფ.).

არსებობის ბერმონაზვნული წესის ხიბლიც თავისუფლებაში დაინახება. ეს ცხადადაა გაცნობიერებული თვით ასკეტისგან. გრიგოლ ხანძთელი იმიტომ არ თანხმდება ეპისკოპოსობაზე, რომ ასეთმა უმაღლესმა საეკლესიო ხარისხმა შესაძლოა სამქვეყნო პატივ-დიდებასთან წილნაყარობით გარკვეულწილად დააბრკოლოს ბერი სრული და ჭეშმარიტი თავისუფლების გზაზე. ბერი უპასუხებს მეფეებს: „და კმა არს ჩემდა ორ-კერძოვე დიდებად, უკეთუ შე-ვითა-უძლო მოღუაწებად წმიდათა ამათ უდაბნოთაჲ ჯერისაებრ, რომელთა შინა პოვეს კაცთა თავისუფლება“. სხვა სიტუაციაში აფხაზეთის მეფეს განუმარტავს გრიგოლი: „განგებასა ღმრთისასა ესე ჩვეულებაა აქუს, რადთა წმიდანა მათ უდაბნოთა მონასტერნი კელითა გლახაკთაჲთა აღაშენნეს, რომელნიცა სრულიად თავისუფალ იქმნნეს სოფლისა საცთურთაგან“. როგორც ვხედავთ, ბერობა-მეუდაბნოება „სოფლისა საცთურთაგან“ თავდახსნის განსაკუთრებულ გზად და საშუალებად მიიჩნევა, ხოლო ბერი - თავისუფალ პიროვნებად. გრიგოლი თვით განმარტავს, რომ იგი იმ თავისუფლებას გულისხმობს, რომელიც ქრისტემ მოგვმადლა (გალატ. 5.1.); რომ მისდამი მორწმუნეებს „მოსცა კელმწიფებაჲ შვილ ღმრთისა ყოფად“ (1 იოანე, 3.2).

ქრისტესგან მომადლებული „აზნაურობით“ გააზნაურებული ბერ-მონაზვნობა, ბუნებრივია, არავის აძლევს უფლებას, ხელყოს მისი თავისუფლება. მეუდაბნოეთა თავისუფლების სტატუსის ამ კნონზომიერების მოტივირებაა ის, რასაც აფხაზეთა მეფეს ეუბნება გრიგოლი: „ხოლო სარწმუნონი და ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არავისა კელმწიფებასა ქუეშე არიან, ვინაჲთგან მოჰრიდეს საშუალებათა საწუთრომსათა ნებისით“. სწორედ იმის გამო, რომ მეუდაბნოენი თავისუფალი ნებით მიწიერ სიამოვნებათაგან განდგნენ, მათი „კელმწიფება“ მიწიერ მბრძნებელს არ ხელეწიფება, - განმარტავს ხანძთელთა წინამძღვარი.

ფასეულობათა ამგვარი სისტემისათვის ნიშანდობლივ ერთ ეპიზოდს მოვიხმობთ გიორგი მერჩულის თხზულებიდან: ბაგრატ კურაპალატმა რომ თავისთან იხმო საბა იშხნელი, ბერი არ ეახლა ხელმწიფეს. მერე ბაგრატმა გრიგოლს მიაწერინა ხმობის წიგნი იშხნის წინამძღვართან. ამჯერად საბა გამოცხადდა და მეფეს მსუბუქ საყვედურს ასე უპასუხა: „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქვესკნელთაჲ. შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე ყოველთა დაბადებულთაჲ; შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნოდ მეუფე... და უფროდ შენსა ჯერ-არს სმენაჲ სიტყიათა მისთაჲ, რომელმანცა ბრძანა, ვითარმედ: „ვერვის კელ-ეწიფების მონობაჲ ორთა უფალთაჲ“. საბას ამ სიტყვებში ხელმწიფეთა მიწიერ ძალაუფლებას, დროითა და სივრცით შემოფარგლულს, კონტრასტის პრინციპით უპირისპირდება ღვთაების ძლევამოსილება, დრო-სივრცით განუსაზღვრელი. პირველის შეფარდებითი ღირებულების წარმოჩენით საცნაურდება აბსოლიტური ფასეულობა მეორისა. და ვინც აბსოლიტურ ფასეულობას ანსახიერებს მიწაზე, საბაც მხოლოდ მის მორჩილად რაცხავს თავს.

თუ მეუდაბნოენი „სრულიად თავისუფალი იქმნეს სოფლისა საცთურთაგან“, ერისკაცთ აკლიათ ხოლმე მადლი, რასაც კვალში, ჩვეულებრივ, შეცოდება მოჰყვება. აშოტ კურაპალატმა კი აღუთქვა გრიგოლს ხანძთელს ქალის, „...დედაკაცისა მის წარგზავნაჲ, ვითარცა მოეყვანა იგი. და ვერ დაამტკიცა თჳსი ბრძანებაჲ, რამეთუ დაემონა გულის-თქუმაჲ“. გრიგოლი „სიძვის დიაცს“ უთვალისწინებს, რომ იგი დამონებულ არს ეშმაკისადა. არც ქალი უარყოფს რომ საკუთარი ნების უფალი არაა „წმინდაო ღმრთისაო, მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალ ვარ, ვინადთგან გარდარეული სიყვარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა“; მაგრამ იგი ამგვარი მონობის მიზეზად სხვისგან თავს მოხვეულ სხვისსავე ნებას სახავს.

გიორგი მერჩულის თხზულების ამ ეპიზოდს საგანგებო ჩაღრმავება სჭირდება. ამბის ზედაპირზე აქ, რა თქმა უნდა, სასულიეროთა და საეროთა დაპირისპირება და იმ თემის ჩანასახია, რაც მთავარი გახდება საერო ლიტერატურაში. სიღრმისეულ პლანში თუ ჩავიხედავთ, აქ მოთხრობილია, ერთი მხრივ, ერისკაცისადმი ღვთისმსახურთა სწორედ დიდი თანადგომის ამბავი და, მეორე მხრივ, ინტიმური და საღვთო ტრფიალების განცდათა უაღრესად მძაფრი ჭიდილი „დიდი ხელმწიფის“ პიროვნებაში (იმ მეფისა,

#694

წმინდანად რომაა შერაცხილი). თხრობა იმ მომენტიდან იწყება, როცა მძაფრი დრამის ერთი ნაწილი უკვე გამოვლენილია: „აცთუნა მტერმან კელმწიფე იგი და მოიყვანა მან დედაკაცი სიძვისად ციხესა მას შინა, რომლისა თანა იმრუშებდა, რამეთუ ეშმაკი ტრფიალებისად ფრიად აზრზენდა, რომელსა პირველ არა აქუნდა ეგევითარი ჩუეულებაჲ, არამედ ძლეულ იქმნა ბოროტითა მის ცოდვითა“. წმ. გრიგოლისგან „პირისპირ მხილებულმა“ მეფემ გულწრფელად აღუთქვა ბერს ქალის „განტევებაჲ“, მაგრამ ღვთაებრივ ნებას ვერ დაუქვემდებარა პიროვნული ნება, „რამეთუ დაემონა გულის - თქუმაჲ“. კაცი იმას ემონა, რაც თავად უნდა დაემონებინა. მაშინ არაბთა ბატონობის უღლისგან სამშობლოს გამოსხნისათვის მხედრულად მეომარი მეფის „სულისა განმხრწნელი“ ვნებისაგან გასათავისუფლებლად შეიმართნენწმიდა გრიგოლი და ნეტარი ფებრონია. მამა გრიგოლმა ხელმწიფის საყვარელი არტანუჯის ციხე-ქალაქიდან გამოიყვანა, დაარწმუნა რომ „ეშმაკისადა დამონებული“

საკუთარ სულსაც კლავდა და „დიდისა ჯელმწიფისადა“ საფრთხედ ქცეულიყო. თავმოდრეკილი ქალი მერეს დედათა მონასტერში დაამკვიდრა. არტანუჯს დაბრუნებულმა მეფემ რომ ქალის წაგვრის ამბავი შეიტყო, „ფრიად შეიურვა... რამეთუ არა ღონითა რადიმე კაცობრივთა მახეთადთა იყო ტრფიალ მისა მიმართ ჯელმწიფე იგი, არამედ ეშმაკისა მანქანებითა ესოდენ ძლეულ იყო, რომელ თავმოთნეობად დაავიწყდა და მსწრაფლ ხოლო მივიდა მერეს“. აშოტი მონასტრის წინამძღვარს წარუდგა, სიცრუით მოქსოვილ არგუმენტთა მომარჯვებით ქალის ციხე-ქალაქად დაბრუნებას ითხოვდა. ასე რომ, „ძლიერი და დიდებული“ ხელმწიფე, რომელიც „წყობით (ბრძოლით, მხედრული შებმით) ჯელმწიფეთა დაიმორჩილებდა“ ხოლმე, კიდევ ერთხელ დამარცხდა შინაგან მტერთან. ნეტარმა ფებრონიამ ერთობ მწარე წამალი მიაწოდა მეფეს; დაურიდებლად მიუთითა მტერზე: ეგ, რასაც შენ აქ მოსვლის მიზეზად ბრძანებ, ნამდვილი მიზეზის შესაფარავად მოგონილი მიზეზია, მეფეო, მიზეზის მიზეზი იმისათვის, ვინც უშჯულოებას იქმს „მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთა თანა, რომელნი იქმან უშჯულოებასა“.

მკითხველის წინაშეა ერთობ დამაღონებელი სურათი იმ კაცის ზნეობრივი დაცემისა, ვინც „უფალ-ყენა ღმერთმან ქუეყანისა განგებისა“, ვინც „დავით წინასწარმეტყველისა და უფლსა მიერ ცხებულიისა შვილად წოდებულ ჯელმწიფედ“ მოიხსენება თვით წმ. გრიგოლის მიერ. და შეიძლება კი მორალური დამცრობის ამ წყვიდანთან მალეც გააღწიოს ადამიანმა, შინაგანი ფერისცვალების იმ სიმაღლემდეც მივიდეს, წმინდანობა რომ ჰქვია?! - შეიძლება - გვიპასუხებს წმინდა წერილისეული მსოფლშეგრძნება. ანტიკური კულტურული სამყარო ასეთ ფერისცვალების შესაძლებლობას არ გვიდასტურებს. ჰომეროსის გმირს დრო შეიძლება სცვლიდეს მხოლოდ გარეგნულად, „მაშინ, როცა ძველი აღთქმის გმირები შეიძლება ყოველ წუთს ელოდებოდნენ, რომ უფლის მძიმე მარკვენა შეეხება მათ, ვინაიდან ღმერთმა არა მხოლოდ შექმნა და გამოარჩია ისინი, არამედ განუხრელად გარდაქმნის მათ, იგი მიმოხრის მათ, უმორჩილებს რა თავის ნებას, და, არ ანგრევს მათ არსს, ისეთ ფორმებს აძლევს მათ, რაგვარსაც არაფრით მოასწავებდა მათი ახალგაზრდობა. და რამდენად უფრო ფართოა მათი ბედის ქანქარის რხევის ამპლიტუდა, ვიდრე ჰომეროსის გმირებისა... და უბედურებაშიც და დაცემაშიც გაცხადდება მათს საქმეებსა და სიტყვებში დიდება უფლისა. დამცირება და ამაღლება აქ უფრო ღრმაა და მაღალი, ვიდრე ჰომეროსთან, ისინი განუყოფელნი არიან ერთმანეთისაგან“ (ე. აუერბახი, „მიმესისი“). ასეთი განუყოფლობის ნიმუშებად ქრისტიანული მსოფლგანცდის სამყაროში მიიჩნევა ცხოვრება პეტრე და პავლე მოციქულებისა, ნეტარი ავგუსტინესი და სხვათა.

აშოტ ბაგრატიონსაც უმზადებდა თურმე ღვთიური განგება მძიმე გამოცდას. როგორი იყო ძლევაგამოსილი მეფის რეაქცია უბრალო მონაზონი ქალის დაურიდებელ „მართლმხილებაზე“ აი, ლაკონიურად მოხაზული ეს სურათი, „ესე რად ესმა კურაპალატსა, სირცხვილეულ იქმნა მართლმხილებისა მისგან კდებული და მყოვარ ჟამ დადუმნა, ვითარცა ძლეული, რამეთუ ჯორციელად ძლიერსა ჯელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლეს, შეჭურვილთა მათ საღმრთოთა შურითა. ხოლო შეურევებულმან კურაპალატმან გულისა შეჭირვებისაგან თქუა: „ნეტარ მას

#695

კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არსო“, და მსწრაფლ ხოლო აღდგა და წარვიდოდა. მაშინ ნეტარი ფებრონია დაწყნარებულითა სულითა აყენებდა, რადთამცა ისტუმრა იგი და არა დაემორჩილა, რამეთუ მამხილებლად აქუნდა თვსი გონება და ვნება რად ჯორცთ-მოყუარებისად განეშორა და აუგი თვსი გულისკმა-ყო. ხოლო სულითა იხარებდა, სიბრძნემან რადწარიოტა სულმოკლება იგი მავნებელი და აქებდა წმიდათა მათ მძლავრებასა, უფროდს ხოლო ძლევისა მომცემელსა ღმერთსა. და სიხარულითა წარვიდა, რამეთუ გულითა წმიდათა აქუნდა ნეტართა მათ პატივი, ვითარცა სულისა მისისა საუკუნოდ გვრგვინოსან მყოფელთად“.

საკუთარ მკერდქვეშ აღზევებული მტრის წინაშე სამარცხვინო მორჩილების ფაქტს უზრახავენ სამხედრო სარბიელზე ძლევამოსილ მეფეს. „მართლმხილებისგან სირცხვილუელი“ ხელმწიფე „მოყვარ ჟამ“ (დიდხანს) დუმდა. ხანგრძლივი დუმილის ეს დრო მძაფრი, ერთობ ტკივილიანი ბრძოლის ჟამია, როცა მეფე უკვე მეფური შემართებით ებრძვის შინაგან მტერს, მიმდინარეობს „ტანჯვა სინდისისა დაუცადებელი“, ამიტომ აღმოხდება „გულისა შეჭირვებისაგან შეურევებულ“ კურაპალატს: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არსო“. აშოტმა მოიგო ეს ომი. გარედან მოსულ მამხილებელს ჩაანაცვლა შინაგანი, სინდისის ხმა, ღვთაებრივი მსაჯული: „მამხილებლად აქუნდა თვსი გონება“. ამის კვალობაზე, „ვნებაჯორცთ-მოყუარებისად განეშორა“, პიროვნული ნება ღვთაებრივ ნებას შეუზავა, გახდა თავის უფალი. სიტყვაც არ დაუძრავს თავის გასამართლებლად, ისე შეტრიალდა და არ გაუყვა გზას არტანუჯის ციხე-ქალაქისაკენ. ყველაზე ძნელ ომში გამარჯვებულის განცდა მიჰყვებოდა: „სულითა იხარებდა, სიბრძნემან რად წარიოტა სულმოკლება“. დიდი ტკივილის საფასურად წვდომილი სიხარულია ეს, იმის მსგავსი სინათლეა, გოლგოთის მისტერიიდან რომ გვინათებს, რომ ზნეობრივი დაცემის საშინელების ღრმა გაცნომიერებამ საპირისპირო მიმართულებით აღმასვლის მძლავრი ბიძგის როლი შეიძლება შეასრულოს პიროვნების სულიერ ცხოვრებაში, ამაზე ვლ. ლოსკი იტყვის: „პიროვნება იმიტომღა ღვთის უმაღლესი ქმნილება, რომ უფალი მას სძლვნის უნარს სიყვარულისა - ამისდაკვალად, უარყოფისაც. შესაქმნის გვირგვინს - ადამიანს ღმერთი არ უსპობს თავისუფალ ნებას, რათა ნებაყოფლობით დაცემულმა შემდგომში ნებაყოფლობითვე ინებოს გამოხსნა და ცხოვნების სიმაღლემდე ავიდეს. უფალს არ ნებავეს, ძალმომრეობდეს თავისუფლების ჩვენეულ უნარზე, იმიტომ, რომ ეს უნარი მისი ძლევამოსილების ძლენია ჩვენდამი. ჩვენ რომ ხატი ვართ ღვთისა, ეს ერთი ნების, ღვთაებრივის ნაყოფია, გვასწავლიან ღვთისმეტყველნი, მაგრამ იმისათვის, რათა კაცი უფალთან მსგავსებას ეწიოს, ორი ნება, ღვთისა და ადამიანისა, უნდა შეერთდეს. წმიდა გრიგოლი და ნეტარი ფებრონია მხარში ამოუდგებიან აშოტ ბაგრატიონს, რათა ეს ორი ნება შეაერთოს. ამიტომ იყო, რომ არტანუჯისაკენ მიმავალ მეფეს „გულითა წმიდითა აქუნდა ნეტართა მათ პატივი, ვითარცა სულისა მისისა საუკუნოდ გვრგვინოსან მყოფელთად“. ორსავე სარბიელზე ძლევამომოსილ მეფეს ასე მოიხსენიებს თვით წმიდა გრიგოლი: „სიმტკიცე ეკლესიათა და ზღუდე ქრისტიანეთა“.



#696

∴

ყველა გამარჯვება ვნებაზე თავისუფლების აქტის მანიფესტაციაა. ადამიანი რეალურად იმარჯვებს საკუთარი ძალისხმევით თვითდამკვიდრების სიჯიუტეზე, ცოდვილ მიდრეკილებაზე - ცხოვრების სიმძიმის ცენტრს და სიცოცხლის წყაროს ხედავს საკუთარ თავშივე. თავმდაბლობის საზრისი საცნაურდება ადამიანური ბუნების რეალურ გარდაქმნასი, ფერისცვალებაში, თავისუფალი ნების ძალით რომ განხორციელდება. ამ დროს სული ბატონობს სამშვინველზე და სხეულზე, ღმერთი იქვემდებარებს სამყაროს (ნ. ბერდიაევი). ამგვარი თავმდაბლობა შემოქმედების წინამძღვარია, ხოლო მორჩილება - თავისუფლების წინაპირობა. როცა ეკლესიის მამები იმ შტრიხებზე ლაპარაკობენ, რომლებითაც ადამიანი ყველაზე უფრო ემსგავსება შემოქმედს, მიუთითებენ, რომ ესაა შემოქმედების ნიჭი, უნარი. კითხვაზე, - რის შექმნისთვისაა ადამიანი ხმობილი ამ ქვეყნად? - გრიგოლი პალამა უპასუხებდა: „შექმნას, უპირველეს ყოვლისა, თავისი საკუთარი ცხოვრება“.

თავისუფლების საჭურველით აღჭურვილი ეპიფანე ხანძთელი თავმდაბლობა-მორჩილების სათნოების ნავთსაყუდელში ქმნის, აშენებს თავის საკუთარ ცხოვრებას, საუკეთესო „მეს“.

სხვადასხვაგვარი სათნოებანი ქმნიან აკრძალვათა წყებას, რომელთაც ასკეტი თავისუფალი ნებით განუწყესებს თავის თავს. ისინი არაა უფლისაგან მომავალი თვითნებობა, არამედ ნებაყოფლობითი გამოცდაა, რათა მორწმუნის თავისუფლება გახდეს ძალმოსილი და შეგნებულ. მორჩილების ეპიფანესეულ სათნოებას რომ გრიგოლ ხანძთელი გამოცდის, დემონსტრაციული მიზანმიმართულების გარდა, ამ ფაქტს ის დანიშნულებაც აქვს, რომ მოწაფის თავისუფლება ბავშვურს აღემატოს, შეგნებული და უფრო ნაყოფიერი გახდეს. ყოველი ასკეტური აკრძალვით შეთავაზებული, პოტენციალური თავისუფლება იქცევა განცდილ, რეალურ თავისუფლებად. ე.ი. ასკეტური აკრძალვა კი არ ძლუდავს თავისუფლებას, არამედ ამ მადლის სიღრმისეულ შესაძლებლობებს მოიყვანს მოქმედებაში და უფრო მაღალხარისხოვან ნაყოფს ამწიფებს. ამგვარი გაგებით, რწმენა ნიშნავს განთავისუფლებას ბუნების კანონთაგან, ე.ი. უზენაეს თავისუფლებას, სამყაროს ონტოლოგიურ სტატუსზე მოქმედების თავისუფლებას.

ბერ-მონაზონთა უდაბნოდ გასვლა, მეუდაბნოეობა უკვე არის თავისუფლების განსაკუთრებული გამოხატულება. ძველი აღთქმის ეპოქისთვის ამ სიმბოლური აზრით არის დატვირთული სიტყვა „უდაბნო“. როგორც ე. ფრომი განმარტავს, ეს სიტყვა მათი განთავისუფლების უმთავრესი სიმბოლოა და აღნიშნავს სამყოფელს, სადაც აქვთ მხოლოდ ის, რაც უცილობელია სიცოცხლისათვის და არა ქონება. არაფუნქციონალური საკუთრების უარყოფის ეს ტენდენცია პირველად „გამოსვლათა“ წიგნში დაჩნდება. ამ მსოფლშეგრძნებით, უდაბნოსი ცხოვრება გაიგება, ვითარცა მომზადება თავისუფალი არსებობისათვის, რომელიც არ იქნება შებოჭილი რაიმეგვარი ბორკილით. გავიხსენოთ, რომ უდაბნოში გამოცდის გზით მაცხოვარი იწყებს კაცობრიობის გამომხსნელობით მოღვაწეობას.

ასკეტური ბრძოლა ვნებებთან, თავისუფლების საჭურველით რომ აღსრულდება და სათნოებებად დაკრისტალდება, შემოქმედებაა, ვინაიდან ბუნებრივი აუცილებლობის არტახების დაწყვეტას გულისხმობს, ახალ ზებუნებრივ სინამდვილეს ამკვიდრებს. ჯერ კიდევ VII ს-ში ღირსი მამა იოანე სინელი განმარტავდა: „თვსისა ბუნებისა ძლევაჲ შეუძლებელთა საქმეთაგანი არს. სადა ბუნებისა ძლევა იქმნა, მუ უეჭველად ბუნებისა იგი უზესთაესი დაემკვდრა“ („კლემაქსი, რომელ არს კიბე“). ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთ ადამიანში ღმერთი შემოსულა, „დამკვიდრებულა“, მოკვდავში უკვდავის ხატი გაცხადებულა. შემოქმედება აქ მწვერვალთანაა მიახლოებული. ტანჯვა-გამოცდა ქვედამზიდველი ბორკილებისგან თავისუფლებს კაცს, სულის ხარს ხსნის უფლისეული ძლევნის (მადლის) მისაღებად. ხდება შინაგანი აღდგომა, მეორედ შობა, „ძუელ კაცს“ ახალი ცვლის. „ახალი კაცი“ არაფრისაგან (მატერიალური თვალსაზრისით) იქმნება სიყვარულის გზით. ამიტომ იგი ჭეშმარიტებაა, სიკეთეა და მშვენიერებას ერთსა და იმავე დროს (სამი ცნება, - ჭეშმარიტება, სიკეთე და მშვენიერება, - როგორც ცნობილია, ერთმანეთის ტოლ-სწორია წმინდა წერილის სამყაროში). წმინდანის მშვენიერების მოტრფიალეა და მშვენიერია თავად. ჯერ კიდევ წმ. გრიგოლ ნოსელი ამბობდა: იყო ხატი ღვთისა, „ნიშნავს იყო მშვენიერი“. წმიდა მაკარი მეგვიპტელი განმარტავდა: ქრისტიანობა არის „მოვლინება ახალი და მშვენიერი ადამიანისა“.

ანალოგიურ აზრებს გვიზიარებენ ნეტარი ავგუსტინე, სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, გრიგოლ პალამა და სხვანი. ასკეტური ცხოვრების წესთა განმაჩინებელი წიგნები მშვენიერებისმოყვარეობის სახელმძღვანელოებად, „ფილოკალიებად“ მოიხსენიებოდა.

აქ მოხმობილი (და არ მოხმობილი) ეპიზოდები, როცა წმ. გრიგოლი და მისი მოწაფეები ვნებებს ებრძვიან და სათნოებებს დაიუწჯებენ, სილამაზე-მშვენიერების გაბრწყინების სურათებია. ამ მშვენიერების ნათელი ხშირად თვალთ უნახავია, ტანჯვიდან ამობრწყინდება, „ბნელიდან აღმოხდება“. ასეთი სინათლე მოდის ზენონის ერთობ ტკივილიანი ნაბიჯიდან მონასტრისაკენ, როცა მან სიამაყის დემონსაც სძლია და მაღალი არისტოკრატის კეთილმოწყობილ ცხოვრებასაც ზურგი შეაქცია (რაზეც მწერალი იტყვის: „მონაგებთა დატყვებაჲ სისხლთა დათხევასა ემსგავსების“). ტირი-

#697

ლიდან, ეფრემ მაწყვერელის ცრემლიდან იღებს სათავეს ამაღლებულობის ის შარავანდედი, როცა აწყურის კათედრის მღვდელმთავარმა მორჩილებით მოიდრიკა თავი მოძღვრის წინაშე („ეფრემ სიტყუასა მას ზედა სულიერისა მამისა და მოძღვრისაჲსა ატირდა...“). ამაღლებულობის შთაგონებით დამშვენებულად წარმოგვიდგება აშოტ ბაგრატიონიც, რომელსაც ზნეობრივი დაცემის გაცნობიერება სიკვდილს ანატრებიანებს და სულიერი აღმასვლის გზაზე შეაყენებს. ხოლო ეპიფანე ხანძთელი რწმენის, თავმდაბლობა-მორჩილების ნავთსაყუდელში „აშენებს“, ქმნის თავის ახალ ცხოვრებას, ახალ, საუკეთესო „მეს“. უდრტვინველად ხვდება რა სრულიად დაუმსახურებელ სასჯელს, გაუზზარავი რწმენითა და შეუმღვრეველი სიყვარულით შესცქერის რა ამ სასჯელის პირველწყაროს, ეპიფანე აუქმებს ბუნებრივ აუცილებლობათა კანონებს, ჭეშმარიტი შემოქმედის თავისუფლებით ზემოქმედებს სამყაროს ონტოლოგიურ სტატუსზე, გზას იკაფავს ეგოიზმიდან სიყვარულისაკენ. „ნივთიერებასთან შეუხებელი“, მაგრამ დიდი სინათლითაა გაბრწყინებული ეპიფანე ხანძთელის პიროვნება.

მაგრამ ზოგჯერ მშვენიერის ეს ნათელი ფზიკური თვალთაც იხილვება. ეს არის არამიწიერი, შეუქმნელი, ღვთაებრივი ნათელი, რომელიც, თავისი სიძლიერის გამო, როგორც ვნახეთ, განწონის ხოლმე წმ. გრიგოლის სხეულსაც და სამოსელსაც. როცა ამგვარი ნათლის ძალით მატერია იმსჭვალება, ხდება მისი თვალსაჩინო დემატერიალიზაცია: გრიგოლ ხანძთელის „სამოსელი იგი შეურაცხი“ თვალშეუდგამი სინათლის სხივებით მოხსოვილად ჩანს; ხოლო ასევე უბრალო თავსაბურავი (კუკული) „პატიოსან თვალთაგან და მარგალიტთაგან ფასდაუდებელთაგან აღმკულად იხილვება“. ზოგჯერ ერთიანად ნათლის სვეტშია გახვეული წმინდანი ან მლოცველიდან ჯვარის სახედ იღვრება სინათლე. უზენაესი სინათლიდან ასკეტის სულზე გადმოსული და მერე იქედან გადმოღვრილი ნათელი ისე ძლიერია, რომ ერთხელ ბერის სენაკი ცეცხლში გახვეულად ჩანს, ხოლო მეორე ეპიზოდში „ესე დიდებაი მის ზედა“, რომ იხილა ბოროტმა კაცმა, „ზარისა მისგან დიდისა დაცემული იდგა ქუეყანასა ზედა“.

ეს არის მშვენიერისა და ამაღლებულის ის სამყარო, რომელსაც ინტერიორულ ესთეტიკას ემახიან. ამ ესთეტიკას ესთეტიკური ობიექტი ეგულებათ თვით ღვთაებრივი მშვენიერების აღმქმელი სუბიექტის (ამ ეპიზოდში - გრიგოლ ხანძთელის) შინაგან ცხოვრებაში. წმ. გრიგოლს, ზენონს, ეფრემ მაწყვერელს, საბა იმშნელს თუ ეპიფანე ხანძთელს, - მაკარი მეგვიპტელის სიტყვებით რომ ვთქვათ, - ეძვირფასებათ, „სანუკვარ სურვილად აქვთ ირგუნონ ის გამოუთქმელი სიკეთენი, რომლთაც სულით ჭვრეტენ, და ამისათვის მოიძულებენ ყოველგვარ მიწიერ სილამაზეს, სიმშვენიერეს, დიდებასა და ღირსებას, მეფეებისა და არქონტების სიმდიდრეს: ვინაიდან მოწყლულნი არიან ისინი ღვთაებრივი სილამაზით და მათ სულებში ზეციური უკვდავების სიცოცხლემ დასადგურა“ (ჰომილია V). „გამოუთქმელ სიკეთით“ კი, რომელთაც „სულით ჭვრეტენ“, იმით ირგუნებენ, რომ თავის ყველა ნაბიჯს, აზრსა, გრძნობასა და სიტყვას ზეციური სილამაზის ასლად აქცევენ, შემართებით დაწყვეტენ უსახურისა და ქვედამზიდველის არტახებს. ასე რომ, ასკეტი დრო-სივრცული და საზღვრულობის გარემოშივე თავის თავში მერწავენ ზედროულ-ზესივრცულ სილამაზის ხატს. ამიტომ უწოდებს მამა ს. ბულგაკოვი წმინდანის ცხოვრების წესს „სულიერ-მხატვრულ ღწვას“ („ნათელი მიუაჩრდილებელი“). აკეტური ღწვით პიროვნება „იქცევა თავისი თავის მხატვრულ პორტრეტად, იდეალურ პორტრეტად (პ. ფლორენსკი).

„თავისი თავის დიდ მხატვართა“ მწყობრში უნდა მოვიყაროთ წმ. გრიგოლ ხანძთელი. ასევე თვითონ არიან ხელოვანი ამ დიდი ასკეტის მოწაფეები. მათი სულები, ვითარცა სუფთა სარკე, ღვთაებრივ სილამაზეზე არიან მიპყრობილნი, ზეცას გადმოხატავენ და აქცევენ თავიანთ ცხოვრებად. ამისდაკვალად, ისინი ესთეტიკური აქტის (განცდის) სუბიექტები არიან. ყველა მათგანი, იმავდროულად (ეს უკვე უფრო ადვილად აღიქმება), ვითარცა ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟები ხელოვნების ქმნილებაა, გიორგი მერჩულის მწერლური ნიჭიერებით გამოწერმილნი. ასე რომ, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ (ისევე როგორც ყველა ჰაგიოგრაფიულ თხზულებას) უკავშირდება პიროვნება ორი მხატვრისა, ხელოვანისა: გიორგი მერჩულე - სიტყვის ხელოვანი, ავტორი ჰაგიოგრაფიული თხზულებისა, და გრიგოლ ხანძთელი - სიცოცხლის ხელოვანი, თავისი თავის „იდეალური პორტრეტის“ გამომძერწავი „ცოცხალი მასალისაგან“ (იმავდროულად - პერსონაჟი მერჩულის ლიტერატურული ნაწარმოებისა). იგივე ითქმის ზენონსა და ეპიფანე ხანძთელზე, ეფრემ მაწყვერელზე. როდესაც წმ. გრიგოლმა შატბერდის ტაძრის საკურთხეველთან ნეტარი ეპიფანეს „იდეალური პორტრეტის“ მშვენიერების დემონსტრირება მოახდინა, თავად განუმარტავს განცვიფრებულ ნეძველ ბერებს, რომ ამგვარი სულიერი სინათლე შემოქმედებაა: „ღმრთის-მოშიშებისა და სიწმიდისა და სიმდაბლისა და მისისათვის“, - ეპიფანეს რომ ამკობსო, - „მარადის მადლი სულისა წმიდისა და დიდგრომილ არს მის თანა“. ამ თვალსაზრისით, ისიც საყურადღებოა, რასაც ეპიფანეს სულის საოცარი ამაღლებულობის მხილველი ნეძველი ბერები ეუბნებიან ამის თაობაზე წმ. გრიგოლს: „დაღაცათუ კეთილ არიან სათნოვებითა ძმანი მონასტრისა ჩუენისანი, არამედ ესე სიმდაბლე ვერ ძალუც“. ამ ფრაზის კონტექსტში „კეთილი“ სწორედ ლამაზსა და მშვენიერს ნიშნავს (როგორც ერთხელ უკვე ითქვა, ამ სიტყვას ძველ ქართულ ენაში ამგვარი შინაარსიც აქვს. გავიხსენოთ ხანძთის უდაბნოს პოეტური სურათი: „კეთილ არს უდაბნო

#698

იგი მზისა მცხინვარებითა და ჰაერისა შეზავებითა ყოვლით კერძო, და აქუს მას წყაროდ მდიდარ გამომდინარე, შუენიერი, გრილი და ჰამოდ...“; იმ ადგილს, სადაც ეკლესიის შენებას უნდა შეუდგეს, უფლისადმი მიმართულ ლოცვაში ასე მოიხსენიებს წმ. მამა: „...ადგილსა ამას კეთილსა განსასუენებელსა ნებისა შენისა“; შატბერდის მონასტერს ასე ემშვიდობება იგი: „კეთილად აღორძინდი, შატბერდო, და შეიმკე მადლითა“. სულიერი მშვენიერებით აღორძინება-გაბრწყინება იგულისხმება აქ და ამიტომვე მოსდევს სიტყვა - „შეიმკე“).

კაცთმოყვარეობის, გულჩვილობისა და „სიწრფოების“ თვალისმომჭრელი სინათლითაა გაჩახჩახებული გიორგი მერჩულის წიგნის ყოველი ფურცელი. ისინი მოყვასის საკეთილდღეოდ უანგაროდ და უშურველად გაცემენ ამტერიალური და სულიერი ქონების უკანასკნელ ნამცეცსაც. ცრემლად იღვრებიან მათი შეჭირვებისას და ყველაფერს იღონებენ სხვისი ცრემლის შესაშრობად, გულუხინჯოდ, დაუყვედრებლად მიუტევებენ შეცოდებულთ. ასკეტის სული მწუხარებს, იტანჯება მტრად მოსული ადამიანის საცოდაობით. სულის სიკვდილად თვლიან გულის სიმშრალესა და სიცივეს. ისინი ორიენტირებულნი არიან გულის იმ „სიჩხოებაზე“, ადამიანური ბუნების იმ სიმარტივეზე, რაც ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში უკვე იძენს საკრარულ შინაარსს: „დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩვლთა“ (მათე, 11.25). სიცოცხლის სათავიდან ჭეშმარიტი მორწმუნისათვის სიჩვილე გადაიქცევა ცხოვრების მიზნად, შეგნებული ძალისხმევით რომ მიიღწევა (ს. ავერინცევი, „ადრებიზანტიური ლიტერატურის პოეტიკა“). ამ ადამიანებს არ შეუძლიათ იცხოვრონ სხვაგვარად, თუ არა გამარტივებულ სამყაროში, სირტულისაგან (სხეულისა და სულის, საპირადოსა და საზოგადოს დაპირისპირებისგან) თავის დახსნის პერსპექტივით შთაგონებული ბერები ცხოვრობენ მოყვასისადმი საღვთო კეთილგანწყობის განცდით, გაფაციცებით იღწვიან მისი თანადგომისათვის, სიხარულის გასაბეგრებლად. არსებობის ამგვარი წესი ისევ ზეცის გამოსახვაა მიწაზე. ხოლო ამგვარი ესთეტიკური თვალთახედვის რეალიზაციის პრინციპს „შეზრუნებული პერსპექტივის“ სახელით მოიხსენიებენ (ო. ვულფი, ბ. რაუშენბაუხი, ა. კურაევი).

ცხოვრების ამგვარი წესით წმ. გრიგოლი „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“, და მისი მოწაფეები ერთმანეთთან შეაზავებენ იდეალურსა და რეალურს, მიწიერ ურთიერთობათა სირთულე-სიმძიმეს ღვთაებრივი სიყვარულის სხივებით განწონიან და გაამარტივებენ. თითქოს „ცა მოდრკა ქვეყანადაო“ (რუსთაველი), როცა სამი სულიერი ძმის ერთად ყოფნის ასე მშვენიერ სურათს დაგვასწრებს მერჩულე: „ამისა შემდგომად უბრძანა დიდსა ზენონსა: „ძმაო, შთავედ ვენაჲად, რომელ არს გზასა თანა ოპიზისასა“, რამეთუ ჟამი იყო სთულისაჲ. და შთავიდეს ორნივე ზოგად ვენაჲსა მას შენებულსა მისსა კეთილად ნაყოფიერსა (ლამაზად მტევნებდახუნძლულ ვენახში. - გ.ფ.). და ჟამსა მას შინა მოვიდა სანატრელი მამად მაკარი ოპიზელი ხილვად მოძღუარისა თვსისა, მამისა გრიგოლისა. და ვითარცა - იგი ფრიად განიხარეს და სურვიელად მოიკითხნეს ურთიერთას, და რამეთუ იყო ჟამი პურისა ჭამისაჲ, პურად ხოლო დასხდეს. და შემდგომად პურისა ჭამისა, განიზრახეს მუნ დადგომად ვიდრე ხვალისადმე... და ვითარცა შემწუხრდა, ერთსა შინა სახლსა იყვნეს სამნივე იგი ღმრთისა

კაცნი და წართქუნეს წესისაებრ ფსალმუნი. ხოლო მაკარის ჰრულოდა და სარეცელსა ზედა მიეძინა. მაშინ ნეტარი იგი მამად გრიგოლ და ზენონ სიტყვითა მდაბლითა ფსალმუნებდეს. და მადლმან საღმრთო მან განაბრწყინვნა იგინი ნათლითა დიდებისაჲთა, და სახლი იგი ბნელი, ვითარცა განელჴდა მამასა მაკარის, თქუა: „ვითარ საკვრველად იხილვებიან წმიდანი ესე“. ჰრქუა მას მამამან გრიგოლ „მშაო მაკარი, გიკვრს ხილვაჲ ესე, არა გასმეისა წერილისაჲ „საკვრველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა?“ და ესრეთ იხარებდეს სამნივე იგი სამებისა წმიდია მადიდებელნი და წართქუნეს ცისკრისა საგალობელნი. და ვითარცა განთენა. მშჴდობისა სადგურთა მათ, ურთიერთას მშჴდობაჲ დაუტევს“.

აქ ყველაფერი პირველქმნილი, სამოთხისეული მშვენიერების იერიითაა აღბეჭდილი, „გულუბრყვილოდ ესთეტიკურია“ (მ. ბახტინი, სიტყვიერი შემოქმედების ესთეტიკა“). ასეთ „ხელოვნებას სურს გახდეს არა მხოლოდ მანუგეშებელი, არამედ მოქმედი, არა სიმბოლური, არამედ გარდამქმნელი“. ასეთ „შემოქმედებით აქტს სურს სამყაროს შესაქმნე განახორციელოს სილამაზედ, მისით დაამარცხოს ქაოსი“ (ს. ბულგაკოვი, „ნათლი დაუღამებელი“). ხოლო თ ამ სურათს შემდგომი საუკუნეების კულტურულ ძიებათა თვალსაწიერიდან შემოვხედავთ, ჭეშმარიტებაა ის აზრი, რომ „აქ უკვე ილანდება ამირან დარეჯანისძისა და მისი მმადნაფიცების, ან კიდევ ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის შეყრის სურათები“ (რ. თვარაძე, „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“).

ეკლესიის დიდი მამები ასკეზს მიიჩნევდნენ ბერმონაზვნული მოღვაწეობის საშუალებად და არა მიზანთ-მიზნად. მიზანთ-მიზნად ადამიანის განწმენდა, სხეულისა და სულის საუკეთესო პოტენციალის გამოვლენა, გაწვრთნა-დაკრისტალება მიიჩნეოდა და წმ. მამები ზოგჯერ ამ დიდი მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებასაც, ვითარცა მაინც საშუალებას, კორექტივს უკეთებდნენ, მიზანთ-მიზანს უსადაგებდნენ, საჭიროების კვალობაზე არბილებდნენ, რათა მონაზვნის ძალები არ გამოფიტულიყო ღვთისა და მოყვასის სიყვარულის გზაზე. აი, რატომ იყო, რომ გრიგოლ ხანძთელმა უარი უთხრა აფხაზეთის მეფეს დემეტრეს,

#699

რომ მის საბრძანებელშიც აეგო მონასტერი. ასკეტი უარს ასე ასაბუთებს: „ამას მიწასა ზედა ვერა ეგების მარხვაჲ სულისგან ხოშაკისა მაკუდინებელისაო“. ჰაერის სინოტივესთან შეერთებული დიდი სიციხის პირობებში მარხვა ბერის ჯანმრთელობას გასტეხს, ხოლო მარხვის გარეშე ასკეტური ღწვა რაღა ღწვა იქნებაო (მეფის დიდი ხვეწნის შემდგომ გრიგოლმა მონასტერი დასავლეთ საქართველოს იმ ადგილზე (უბისი) დააფუძნა, რომელიც უფრო ახლო იყო აღმოსავლეთ საქართველოსთან.

უზენაესის რელიგიური მსახურებისა და მოყვასის სიყვარულის ასე ორგანულად და ფაქიზად ერთმანეთთან შექსოვა-შეხორცების მსოფლშეგრძნება ბუნებრივად გამოვლინდა წმიდა გრიგოლისა და მის თანამოაზრეთა დიდ მამულიშვილურ ღვაწლში (რაზეც საგანგებოდ გაიშალა საუბარი გიორგი მერჩულის თხზულების ანალიზის პირველ ნაწილში). საკუთარი თავის სრულიად დამვიწყებული დიდი ასეტი რვა ათეულ წელიწადზე მეტხანს

იდგა შეჭირვებული სამშობლოს სასთუმალთან, წამალს აწვდიდა, სულს უჯანსაღებდა. „ნებსით გლაზაკი“ შეიქმნა, რათა მოძმე გაძლიერებულიყო. არაფერს ითხოვდა, მხოლოდ გასცემდა. წმიდა გრიგოლი არ მოიპოვებს, არ შეიძენს, იგი იღწვის და აღმშენებლობს.